ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 2018 №199 (7744) ფასი: 60 თეთრი

„სსს და პროკურატურა გიორგი ჭანტურიას ოჯახს პირადი მასალებით აშანტაჟებენ“

გვ.7

„ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს მშვიდად დაუქნევს ხელს“

გვ.3

„ქართულ ოცნებას“ არსად არ ეჩქარება. პირიქით, საზოგადოების ცნობისმოყვარეობა და ეს შექმნილი აჟიოტაჟი მის სასარგებლოდ მოქმედებს. რაც უფრო მაღალი იქნება მოლოდინი, ეს მათ აწყობთ. მმართველი პარტია თუ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი კანდიდატი დააყენოს, მაშინ ამას ბოლო წუთამდე, 8 სექტემბრის საღამოს 6 საათამდე, არ გააკეთებს, ეს ის დროა, როდესაც ცესკო განაცხადების მიღებას ასრულებს.

აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტს თავში ჭიქა ურტყეს

შეურაცხყოფილი და ნაცემი გაბნია გადადგა

„აფხაზეთის რკინიგზის გახსნა არ უნდა დავუშვათ“

ზაალ კასრელიშვილი: „მერკელს სტალინიც უნდა გავახსენოთ და ისიც ვუთხრათ, რამდენი ქართველი შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა“

სამართალი გვ.7

ზვიად კუპრავა სუსში დაიბარეს

როგორ დახარჯა ხელისუფლებამ რესტორნებში 6 თვეში 4 მილიონი



ქობულეთში მცხოვრებ 22 წლის ახალგაზრდას სამ თვეზე მეტია, უშედეგოდ ეძებენ

გიგა გოგიტიძის ოჯახი დახმარებას ითხოვს

კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელი ფარმან ჯეირანლი გლდანის მკაცრი ტიპის ციხეში გადაიყვანეს

ეკონომიკა გვ.6

ლირისა და რუბლის გაუფასურებას სომხურ დრამსა და აზერბაიჯანულ მანათზე გავლენა არ მოუხდენია

რატომ დაეცა ლარის კურსი

ვინ არიან და რა ქონებას ფლობენ ახალი გუბერნატორები

გვ.3

ISSN 1987-9385

9 რატომ არ უშვებენ მერკელის დელეგაციის წევრს აზერბაიჯანში?

8 ამერიკელებმა 95 წლის სამხედრო დამნაშავე გერმანიას გადასცეს

4 ვახტანგ მაისაია: „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჯარიმა არასწორად დააკისრეს“

5 დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლება ყველა დონეზე უნდა გააქტიურდეს“

„აფხაზეთის რკინიგზის გახსნა არ უნდა დავუშვათ“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „მერკელს სტალინიც უნდა გავახსენოთ და ისიც ვუთხრათ, რამდენი ქართველი შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა“

პუტინთან მოლაპარაკებული ანგელა მერკელის კავკასიურ ტურნეს ყველა ეჭვის თვალით უყურებს. ქართველი ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ რუსეთი ახლა უკვე გერმანიის კანცლერის პირით მოგვთხოვს აფხაზეთის რკინიგზის გახსნას.

ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო რკინიგზის გახსნას მხოლოდ ერთ შემთხვევაში უნდა დათანხმდეს. რატომ უნდა ველაპარაკოთ გერმანიას, როგორც სწორი სწორს, რა უნდა შევახსენოთ მერკელს, რა გარანტიები უნდა მივიღოთ მისგან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– გერმანიის კანცლერის ვიზიტთან დაკავშირებით სხვადასხვა მოლოდინები არსებობს. თქვენი აზრით, რისთვის ჩამოდის მერკელი სინამდვილეში?

– ამას ზუსტად რამდენიმე დღეში გავარკვევთ და ზუსტ პროგნოზსაც გავაკეთებთ. ეს ისეთივე ზუსტი პროგნოზი იქნება, როგორც რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესება. ცოტა ხნის წინ „ახალ თაობასთან“ ვთქვი, რომ აშშ რუსეთს ახალ სანქციებს დაუწესებს-თქო. როგორც ხედავთ, ეს ამბავი გამართლდა.

– სანქციებთან დაკავშირებით თქვენი წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ საქართველოს გაბრწყინებაზე რატომღაც არ მართლდება.

– დავიწყოთ იმით, რომ ეს წინასწარმეტყველება არ ყოფილა. ეს იყო პროგნოზი. რაც შეეხება საქართველოს გაბრწყინებას, ეს აუცილებლად მოხდება. კარგა ხანია საქართველოს ასეთი ხელსაყრელი პერიოდი აღარ ჰქონია. ამ ვითარებას დავითის და თამარის ეპოქას შევადარებდი. საქართველო მაშინაც ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მაშინ უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია. ახლაც იგივე ხდება. ცოტაც მოვითმინოთ და საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება.

რუსეთთან დაკავშირებით კიდევ ერთ პროგნოზს გავაკეთებ – მალე ისინი ახალ სანქციებს მიიღებენ. ისეთ სანქციას დაუწესებენ, რომ დოლარი და ევრო რა არის, დაავიწყებენ. მერე ვნახავთ, რამდენ ხანს გაძლებენ რუსები. კარგი დღე არც თურქეთსა და ირანს ელის. ანტიდასავლური კოალიცია დიდხანს ვერ გასტანს.

– მოდით ისევ მერკელს დავუბრუნდეთ. ამბობენ, რომ მან შესაძლოა აფხაზეთის რკინიგზის გახსნა მოგვთხოვოს. ამ ეჭვს ის აძლიერებს, რომ გერმანიის კანცლერი საქართველოში პუტინთან დიალოგის შემდეგ ჩამოვიდა. ამის პარალელურად პუტინმა ხაჯიმბას და ბიბილოვს მოსკოვში უხმო. ეს ყველაფერი ვითომ დამთხვევაა?

– პოლიტიკაში დამთხვევა და შემთხვევითობა არ არსებობს. პუტინი სეპარატისტული რეგიონების ლიდერებს ახალ დავალებებს მისცემს. რაც შეეხება მერკელს, ის პუტინისგან რაღაც დანაბარებს აუცილებლად ჩამოიტანს.

გავრცელებული ინფორმაციით, საუბარი აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზეც იქნება, რასაც საქართველოს ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს. ეს იქნება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა.

– ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლება ხშირად მიდიოდა. რუსეთმა საქართველოსთან სახმელეთო საზღვარი 2006 წელს ჩაკეტა. სააკაშვილის ხელისუფლებამ საზღვრის გახსნაზე თანხმობა აგვისტოს ომის შემდეგ განაცხადა. ეს იმით ახსნა, რომ გზა ჩვენს მეზობელ სომხეთს სჭირდებოდა. აფხაზეთის რკინიგზაც სომხეთს სჭირდება და იქნებ ახლაც გაითვალისწინონ ერევნის ინტერესები?

– რას ჰქვია სომხეთს სჭირდება? პირველ რიგში ჩვენი ინტერესები უნდა დავაყენოთ წინა პლანზე. ეს რკინიგზა 1993 წლიდან დაკეტილია და აქამდე თუ გაძლეს სომხებმა, ახლაც გაძლებენ. საქართველო ამ წინადადებას მხოლოდ ერთ შემთხვევაში უნდა დათანხმდეს. ეს წინადადება ასეთია – მოსკოვმა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან სამხედრო ბაზები უნდა გაიყვანოს.

– ქართველი დევნილების დაბრუნება არ უნდა მოვითხოვოთ?

– რუსული ბაზების გაყვანას ქართველი დევნილების დაბრუნება მოჰყვება. ჯერ საკუთარ ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ და მერე სხვებზე.

– ისე, სომხეთი რა ნამუსით გვთხოვს რკინიგზის აღდგენას? აფხაზეთში დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით გაეროს მიღებულ არც ერთ რეზოლუციას არ დაუჭირეს მხარი.

– რეზოლუციისთვის მხარის არ დაჭერა რა მოსატანია იმასთან, რაც მაგათ საქართველოს წინააღმდეგ გააკეთეს. დავიჯერო, ერევანში არიან ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის შესახებ, რომელიც აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა? ამის გამო ბოდიში მოიხადეს? დღეს რომ აფხაზეთი საქართველოს ჩამოშორდა, ამაში სომეხ მებრძოლებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. მთავარი რუსეთი იყო, მაგრამ ბაგრამიანის ბატალიონი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ.

– რკინიგზის გახსნის მომხრეებს ბაგრამიანის ბატალიონის ჩადენილი სისასტიკეები, რომელიც პროკურატურაში ცალკე საქმედ არის აკინძული, სულ თავში უნდა ურტყას ადამიანმა.

– მარტო ბაგრამიანის ბატალიონის საგმირო საქმეები არა. 2008 წელიც უნდა გავიხსენოთ. აგვისტოს ომის დროს ვისი ტერიტორიიდან აფრენილი თვითმფრინავები ბომბავდნენ საქართველოს? ძალიან თუ მოგვაწვებიან, მეზობლების ინტერესები გაითვალისწინეთო, ესენი გავახსენოთ.

ჩვენ ალბათ ისიც უნდა ვიკითხოთ, რატომ არის ამ საკითხით ქალბატონი მერკელი დაინტერესებული.

– თქვენი აზრით, რატომ უნდა აინტერესებდეს გერმანიის კანცლერს ეს საკითხი. პუტინის ფოსტალიონი ხომ არ არის ამხელა ბუნდესტაგი ქალი?

– სანამ ოფიციალურად არ დააყენებს ამ საკითხს, პროგნოზებს არ გავაკეთებ. ვარაუდის დონეზე გეტყვით, ამ საკითხის წამოწევა მისი მხრიდან ჩრდილოეთის ნაკადს უნდა უკავშირდებოდეს. ამ გაზსადენით გერმანია ძალიან დაინტერესებულია. შესაძლოა სწორედ იმიტომ გვთხოვს რკინიგზის გახსნას, რომ პუტინის გულის მოგება სურს.

ჩვენ აუცილებლად უნდა ვკითხოთ ქალბატონ მერკელს, რა სარგებლობას მიიღებს ამით საქართველო. რატომ უნდა გავხსნათ რკინიგზა იმ ქვეყნის ხათრით, რომელიც ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა.

– მერკელი ყოველთვის ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ იმ დახმარებას ნუ დავივიწყებთ, რაც გერმანიამ გასწია ჩვენთვის. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ეს ქვეყანა ყოველთვის გვეხმარებოდა.

– ჩვენ არავის სიკეთეს არ ვუვიწყებთ, არც გერმანიას. მათ ბევრი გააკეთეს საქართველოსთვის. ამის მიუხედავად, მათი თხოვნით რკინიგზა არ უნდა გაიხსნას. დააბრუნოს რუსეთმა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და დვალეთი. რკინიგზას ამის მერე გავხსნით.

– დვალეთს ვინღა დააბრუნებს?

– რუსეთი. ამ კუთხის დაბრუნების გარეშე არაფერი გამოვა.

– მაღალი რანგის უცხოელი სტუმრები საქართველოს ხელისუფლებას რუსების გავლებულ მავთულხართებთან მიჰყავს. ცნობილი ხდება, რომ მერკელს იქ არ მიიყვანენ. სათუთი გული აქვს თუ რა ხდება?

– მერკელი მავთულხლართებით როგორ უნდა გავაკვირვოთ? რუსული ჩექმა და მავთულხლართი მაგათ აქვთ თუ აქვთ ნანახი. შუაგულ ბერლინში რამდენი ათეული წელი ჰქონდათ კედელი ამოშენებული, მავთულხლართით მერკელს ვერ გავაკვირვებთ. სხვა რამე უნდა ვანახოთ და ვუამბოთ.

უნდა გავახსენოთ, რომ ჩვენ ვართ პირველი ევროპელები და ჩვენ მივეცით კაცობრიობას ღვინო და რკინა. უნდა გავაგებინოთ, საქართველო რომ არ ყოფილიყო, მთელი ევროპა გამუსლიმანდებოდა.

– სტალინიც ხომ არ ვუხსენოთ?

– რატომაც არა. საჭირო თუ გახდა, ქალბატონ მერკელს სტალინიც უნდა ვუხსენოთ და ისიც ვუამბოთ, მეორე მსოფლიო ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი რომ დაიღუპა.

გერმანიის კანცლერმა უნდა იცოდეს, რომ სტალინმა, რომელსაც საქართველოსთვის არაფერი გააკეთა, მისი ქვეყანა გადაარჩინა.

– როგორ გადაარჩინა, მიწასთან გაასწორა იქაურობა.

– მიწასთან გაასწორა, მაგრამ დაამარცხა ჰიტლერი. ჰიტლერს რომ მოეგო, გერმანია დაღუპული იქნებოდა. სტალინის წყალობით, ეს ქვეყანა მოწინავეა მთელს მსოფლიოში.

მერკელი წამყვანი ქვეყნის კანცლერია, მაგრამ ამის გამო მისთვის სიმართლის თქმა არ უნდა მოგვერიდოს. ნურც იმის შეგვეშინდება, რომ ქართველებს ამის გამო გერმანიიდან გამოყრიან. იქ ჩვენებურების დიდი ნაწილი მაინც მონებად და მოსამსახურეებად არის.

აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტს თავში ჭიქა ურტყეს

შეურაცხყოფილი და ნაცემი გაბნია გადადგა

შორენა მარსაგიშვილი

დანარჩენი საქართველოს მსგავსად, კანონი არც აფხაზეთში კანონობს. აქ თუ კანონი ძირითადად უბრალო მოკვდავებისთვის ირღვევა, ენგურსმიღმა კანონი ვერც ჩინოსნებს იცავს. იქ, მაგალითად, უპრობლემოდ შეგიძლია ვიცე-პრეზიდენტს თავში ჭიქა ჩაარტყა და ამის გამო არავინ დაგსჯის.

სწორედ ამის გამო დატოვა აფხაზთა ვიცე-პრეზიდენტმა თანამდებობა. ვიტალი გაბნია ამ პოსტზე 2014 წლის 25 სექტემბერს დაინიშნა.

ამ დღეებში აფხაზეთში ბევრს საუბრობდნენ ინციდენტზე, რომელიც აფხაზურ პურმარილზე მოხდა. შეზარხოშებულმა აფხაზებმა თავში ჭიქა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს ჩაარტყეს.

წესით, ჩვენ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, ივნისის თვეში პრემიერის პოსტზე მყოფ გიორგი კვირიკაშვილს თავში ბოთლი ესროლეს, მაგრამ ეს აქციაზე მოხდა. აფხაზთა ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია კი სუფრაზე შემოელახათ.

ეტყობა, თავში საგნის მოხვედრა ცუდი ნიშანია ჩინოსნებისთვის. კვირიკაშვილის მსგავსად, გაბნიაც გადადგა. ოღონდ ეს მართლა საკუთარი ნებით წავიდა.

გადადგომამდე მან სოხუმში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

– ალბათ ბევრმა თქვენგანმა იცის იმ ჩხუბის და ინციდენტის შესახებ, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. თავი ვალდებულად ჩავთვალე ამ თემაზე საჯაროდ ვისაუბრო.

შელაპარაკების შემდეგ ერთ-ერთი მამაკაცი ადგა და ზურგიდან თავში ჭიქა ჩამარტყა. იძულებული ვარ, თანამდებობიდან გადავდგე, რათა ჩემი ღირსება დავიცვა. ჩემი გადადგომა არ ეხება პოლიტიკურ რეალიებს, – განაცხადა თავში ჭიქაჩარტყმულმა გაბნიამ.

ამაში ის ჩვენს ჩინოსნებს ნამდვილად არ ჰგავს, რომელი ქართველი პოლიტიკოსი იტყოდა, თავში ჭიქა მდრუზესო. შეიძლება ეთქვათ, მაგრამ თანამდებობას ამის გამო ნაღდად არავინ დატოვებდა.

გაბნიას ჭიქის ჩარტყმამ აშკარად გონება გაუნათა. აფხაზთა აწ უკვე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, რომ რესპუბლიკაში კანონი არ კანონობს.

– პრობლემა ისაა, რომ მე სუსტი აღმოვჩნდი იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს და ცხოვრობს კანონების მიხედვით, აპრიორი სუსტი აღმოჩნდება ამ უკანონობის სისტემაში, სადაც მმართველობის კონტროლს ქუჩა ახორციელებს.

ზოგადად მთელი ჩვენი სამართალდამცავი სისტემა შერყეულია. სახელმწიფო კლავს, როდესაც არ სჯის დამნაშავეებს და სჯის უდანაშაულოებს. მე აუცილებლობად ვთვლი მოვიხსნა უფლებამოსილება და გადავდგე იმ მიზეზით, რომ მე არ შემიძლია დავიცვა ჩემი უფლებები და ღირსება, ამ მაღალ თანამდებობაზე ყოფნის დროსაც კი. მე მხოლოდ აფხაზურად მოქმედების შესაძლებლობა მაქვს, რისთვისაც მე მჭირდება უფლებამოსილების მოხსნა, – აღნიშნა ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა.

იმედია სათუთი ბუნების ქართული საზოგადოება გაბნიას გამო ღაწვებს არ დაიხოკავს. ეს პერსონა აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს მშვიდად დაუქნევს ხელს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ მამუკა ბახტაძის საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე საუბრობს.



– ბატონო ვახტანგ, პრემიერმა ბახტაძემ თქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გუნდში დისკუსია მიმდინარეობს. „ქართული ოცნება“ რა გადაწყვეტილებამდე მივა?

– „ქართულ ოცნებას“ არსად არ ეჩქარება. პირიქით, საზოგადოების ცნობისმოყვარეობა და ეს შექმნილი აჟიოტაჟი მის სასარგებლოდ მოქმედებს. რაც უფრო მაღალი იქნება მოლოდინი, ეს მათ აწყობთ. მმართველი პარტია თუ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი კანდიდატი დააყენოს, მაშინ ამას ბოლო წუთამდე, 8 სექტემბრის საღამოს 6 საათამდე, არ გააკეთებს, ეს ის დროა, როდესაც ცესკო განაცხადების მიღებას ასრულებს. ამით ის, ერთი მხრივ, ინტერესსაც ინარჩუნებს და, მეორე მხრივ, დროსაც იგებს.

როდესაც ივანიშვილმა თავისი პოზიცია გაახმოვანა, რომ საკუთარი კანდიდატურა არ დაეყენებინა „ქართულ ოცნებას“, თქვა, რომ ეს იყო მისი გადაწყვეტილება და ისიც დაამატა – არ ვიცი, ამას გუნდში გაიზიარებენ თუ არაო. ჩემი აზრით, ეს იყო უკანდასახევი გზა, რომელიც ძალიან ოსტატურად და ჭკვიანურად დაიტოვა ივანიშვილმა.

– ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ ამ ნაბიჯით დემოკრატიის თამასას წევდა მაღლა და სწორედ დემოკრატიის მაღალი ხარისხით ხსნიდა ამ გადაწყვეტილებას. თუ კანდიდატს დააყენებენ, უკან წაიღებენ ამ სიტყვებს, თუ რა ხდება?

– რაც შეეხება ამ განმარტებას, რომ ეს დემოკრატიის თამასის მაღლა აწევა იყო, ეს იმთავითვე პიარის ნაწილი იყო და სხვა არაფერი. თუ რეალური დემოკრატიის დამყარება უნდა ვინმეს, ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, მმართველი პარტია არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას დააყენებს თუ არ დააყენებს.

თუ რეალური დემოკრატია უნდათ, უნდა შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი, პარტიათა დაფინანსების წესი, მედიასივრცეში სარეკლამო დრო და ა.შ. ეს არის რეალური დემოკრატია და არა ის, რომ კანდიდატი არ გვეყოლება, ეს არანაირი დემოკრატია არ არის და ვერც იქნება.

– თუმცა, ასე შეიფუთა.

– გასაგებია, მაგრამ არსად მსგავსი რამე დემოკრატიად არ ჩათვლილა. თუმცა, პიარის კუთხით, მმართველ პარტიას, მათ შორის ბიძინა ივანიშვილს, თავის მართლება მოუწევს. თუმცა, მაინც რჩებათ უკანდასახევი გზები, ხიდები არ არის დამწვარი.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ, კი ბატონო, პარტიის თავმჯდომარემ ასე თქვა, მაგრამ პარტიაში შესაშური დემოკრატია გვაქვს და პარტიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ამით იმასაც იტყვიან, რომ ბიძინა ივანიშვილის სიტყვა მთლად კანონი არ არის! შიდაპარტიული დემოკრატია უფრო მეტს ნიშნავს ჩვენთვის. ამასაც სათავისოდ შემოაბრუნებენ. ამ შემთხვევაშიც „ქართულ ოცნებას“ პიარის კუთხითაც წაუგებელი თამაში აქვს.

– „ოცნებამ“ უკვე გადაწყვიტა, რომ სალომე ზურაბიშვილს მხარი არ დაუჭიროს?

– სალომე ზურაბიშვილმა შეცდომები დაუშვა და ეს ფაქტია. როდესაც მან განცხადებები გააკეთა ომთან დაკავშირებით, ეს თითქმის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა მისთვის.

ამომრჩეველი ნეიტრალურია, თითქოს საერთოდ არ იგრძნობა, რომ ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებია ქვეყანაში. პოლიტიკურმა სპექტრმა იმდენი „მოახერხა“, რომ ცალკეა პოლიტიკა, არჩევნები და ცალკეა ამომრჩეველი, თითქოს ეს ერთმანეთთან საერთოდ არ იყოს კავშირში.

„ქართულ ოცნებას“ ეს აჟიოტაჟი სრულად ათავისუფლებს სალომე ზურაბიშვილის წინაშე. თუ პირობა ჰქონდათ მიცემული, რომ მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი სწორედ ის იქნებოდა, ახლა „ოცნება“ ზურაბიშვილს მშვიდად, ყოველგვარი მორიდებისა და აღელვების გარეშე ეტყვის: გვინდოდა, მაგრამ ამის შემდეგ რა ვქნათ!

თუ „ქართული ოცნება“ ამ აჟიოტაჟს არაფრად ჩააგდებს და მაინც გადაწყვეტს, რომ სწორედ სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი, მაშინ მეორე ტური გარდაუვალი იქნება და აქ უკვე ერთმანეთს გრიგოლ ვაშაძე და სალომე ზურაბიშვილი შეხვდებიან.

– თქვენ თქვით, რომ შეიძლება „ოცნებამ“ მეორე ტურამდე დაიცადოს და სწორედ მეორე ტურში დაუჭიროს მხარი რომელიმე კანდიდატს. ეს სცენარიც შეიძლება განიხილებოდეს?

– ეს იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს, ისე, რასაკვირველია, სავსებით რეალურია ეს სცენარი და მე ამ ვერსიას არ გამოვრიცხავ. მე მაინც მგონია, რომ ამ არჩევნებზე ბოლო ორ კვირაში გადაწყდება ყველაფერი. მიუხედავად ყველა სცენარისა თუ მოქმედებისა, მმართველ პარტიას მაინც რჩება მანევრირების შესაძლებლობა. სრულიად რეალური სცენარი შეიძლება იყოს არჩევნების პირველ ეტაპზე ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და უკვე მეორე ეტაპის ტურისთვის მისთვის მისაღები კანდიდატის მხარდაჭერა.

– გამორიცხავთ, რომ თავად ივანიშვილმა იყაროს კენჭი?

– ამაზე დიდ სისულელეს ივანიშვილი ვერ გააკეთებს. ეს იმდენად არასწორი ნაბიჯი იქნება, რომ ამას ახსნაც ვერ მოეძებნება.

– შეიძლება ვიღაცას სხვადასხვა არგუმენტი ჰქონდეს.

– არც ერთი რეალური არგუმენტი არ არსებობს იმის, თუ რატომ უნდა იყაროს კენჭი ივანიშვილმა. ყველა შემთხვევაში, მმართველმა პარტიამ, ვინც არ უნდა დააყენოს ან მხარი დაუჭიროს, ის კანდიდატი მოიგებს ამ არჩევნებს.

არათუ ლოგიკაში არ ჯდება ივანიშვილის კენჭისყრა, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანიც კი არ დაუშვებს ამას, ამიტომ მიკვირს, როდესაც ამაზე მუდმივად არის საუბარი. კი ბატონო, მაგრამ რაში სჭირდება, რამ უნდა აიძულოს, რომ ამაზე წავიდეს, ამაზეც ხომ უნდა ითქვას რაღაც?!

დღეს ამის აბსოლუტურად არანაირი აუცილებლობა არ არის.

ვინ არიან და რა ქონებას ფლობენ ახალი გუბერნატორები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ ახალი გუბერნატორების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების შესწავლის შედეგად მოიძია ინფორმაცია მათი ბიოგრაფიის, ქონებისა და ბიზნესინტერესების შესახებ. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, 20 აგვისტოს წარდგენილი 7 ახალი გუბერნატორიდან სამს – შალვა კერესელიძეს (მცხეთა-მთიანეთი), გიორგი ხოჯევანიშვილს (შიდა ქართლი), ალექსანდრე მოწერელიას (სამეგრელო-ზემო სვანეთი) თანამდებობრივი შეუთავსებლობა აქვთ, შალვა კერესელიძეს (მცხეთა-მთიანეთი) და შოთა რეხვიაშვილს (ქვემო ქართლი) კი ქონებრივი დეკლარაციები არასრულად აქვთ შევსებული.

შალვა კერესელიძე – მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი

შალვა კერესელიძე 1996 წლიდან სხვადასხვა საჯარო უწყებაში მუშაობდა, გუბერნატორად დანიშვნამდე კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა.

შალვა კერესელიძე, 2018 წლის თებერვალში შევსებული დეკლარაციის თანახმად, ფლობს საცხოვრებელ სახლსა და მიწის სამ ნაკვეთს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში, ორ ბინას და ავტოფარეხს თბილისში, ასევე სახლს ქალაქ დუშეთში.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, შალვა კერესელიძე არის შპს „შაკოს“ (ს/კ 229282736) მეწილე და დირექტორი, თუმცა მას ეს ინფორმაცია დეკლარაციაში აღნიშნული არ აქვს, რაც კანონმდებლობის დარღვევაა. შალვა კერესელიძემ, კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულ კომპანიაში დირექტორის პოზიცია დანიშვნიდან 10 დღეში უნდა დათმოს, წილი კი მინდობით სხვა პირს გადასცეს.

შოთა რეხვიაშვილი – ქვემო ქართლის გუბერნატორი

შოთა რეხვიაშვილი ქვემო ქართლის გუბერნატორად დანიშვნამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე იყო, მანამდე კი, 1995-2013 წლებში,

საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

შოთა რეხვიაშვილი და მისი ოჯახის წევრები 2018 წლის აგვისტოში შევსებული დეკლარაციის თანახმად, ფლობენ მიწის სამ ნაკვეთს წავკისსა და ონში, ორ საცხოვრებელ და ერთ მშენებარე სახლს თბილისში.

შოთა რეხვიაშვილს დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს „აგროგორის“ 50%-იანი წილის მფლობელი, რაც კანონმდებლობის დარღვევაა. ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნული წილის მითითების გარდა, კანონის თანახმად, შოთა რეხვიაშვილმა აღნიშნული წილი მინდობით სხვა პირს უნდა გადასცეს.

ბესიკ ამირანაშვილი – სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი

ბესიკ ამირანაშვილი გუბერნატორად დანიშვნამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. ბესიკ ამირანაშვილი 2018 წლის ივლისში შევსებული დეკლარაციის თანახმად, ფლობს მიწის ოთხ ნაკვეთსა და აგარაკს მცხეთის მუნიციპალიტეტში, ასევე ბინასა და ავტოფარეხს თბილისში.

გიორგი ხოჯევანიშვილი – შიდა ქართლის გუბერნატორი

გიორგი ხოჯევანიშვილს 2011-2013 წლებში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეკავა, შემდგომ კი კომპანია „მაგთიკომში“ მუშაობდა. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, გიორგი ხოჯევანიშვილი ამჟამად შპს „ჯეო ფრუტის“ დირექტორია, ასევე ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „ფრუტ ექსპორტ კომპანი“ – 100%;
- შპს „ჯი ენ კა გრუპი“ – 75%;
- შპს „ჯეო ფრუტ პროდაქშენი“ – 50%;
- შპს „ვესტს ლოჯისტიკს“– 15%;
- შპს „გაზლენდი“ – 100%;
- შპს „დეკერს ჯორჯია“ – 20%;
- შპს „მაქსიმუმი“ – 50%;

გიორგი ხოჯევანიშვილი ასევე ფლობს ბინას და მიწის ნაკვეთს ქალაქ თბილისში. კანონმდებლობის თანახმად, გიორგი ხოჯევანიშვილი დანიშვნიდან 10 დღეში ვალდებულია გადადგეს „ჯეო ფრუტის“ დირექტორობიდან, წილები კი მინდობით სხვა პირებს გადასცეს.

შავლეგო ტაბატაძე – იმერეთის გუბერნატორი

შავლეგო ტაბატაძე იმერეთის გუბერნატორად დანიშვნამდე საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის სარდლის პოზიციას იკავებდა.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, იგი ფლობს მშენებარე ბინას ქალაქ თბილისში. შავლეგო ტაბატაძის მიერ 2016 წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, მისი და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაშია ბინა თბილისში, მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი ხაშურში, არასაცხოვრებელი ფართი რუსთავში.

ალექსანდრე მოწერელია – სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი

ალექსანდრე მოწერელია გუბერნატორად დანიშვნამდე „საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარის

თანამდებობას იკავებდა. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მოწერელია ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „ქაპ ჯორჯია“ – 49% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს „ფიმა ჯორჯია“ – 50% წილის მფლობელი
- შპს „აერკომპანი“ – 16.34% წილის მფლობელი

ალექსანდრე მოწერელია ასევე ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ათზე მეტ მიწის ნაკვეთს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილისწყაროში (საერთო ფართობი 65.000 კვ. მეტრამდე). კანონმდებლობის თანახმად, ალექსანდრე მოწერელია შპს „ქაპ ჯორჯიაში“ დირექტორის პოზიციიდან უნდა გადადგეს, კომპანიებში კუთვნილი წილები კი მინდობით სხვა პირებს უნდა გადასცეს.

ზურაბ ნასარაია – გურიის გუბერნატორი

ზურაბ ნასარაია გუბერნატორად დანიშვნამდე საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირის თავმჯდომარის პოზიციაზე მუშაობდა, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ პარტიული სიით. ნასარაიამ 2016 წელს პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ 6 000 ლარი შესწირა.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ზურაბ ნასარაია ფლობს ბინას თბილისში.

ახალი გუბერნატორების ქონებრივი დეკლარაციების შესწავლის შემდეგ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ხარვეზების გამოსასწორებლად რამდენიმე რეკომენდაცია გასცა:

- მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს შალვა კერესელიძეს, შიდა ქართლის გუბერნატორს გიორგი ხოჯევანიშვილსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ალექსანდრე მოწერელიას – 10 დღის ვადაში დატოვონ სამეწარმეო სუბიექტებში ხელმძღვანელი პოზიციები;
- მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს შალვა კერესელიძეს, შიდა ქართლის გუბერნატორს გიორგი ხოჯევანიშვილს, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ალექსანდრე მოწერელიას, ქვემო ქართლის გუბერნატორს შოთა რეხვიაშვილს – კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, შესაბამის სამეწარმეო სუბიექტებში კუთვნილი წილები მინდობით გადასცენ სხვა პირებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ვადით.
- საჯარო სამსახურის ბიუროს – გამოვლენილი პრობლემური გარემოებების გათვალისწინებით, შეისწავლოს შალვა კერესელიძის და შოთა რეხვიაშვილის მიერ წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციები; ასევე, გააკონტროლოს ახალდანიშნული გუბერნატორების მიერ ქონებრივი დეკლარაციების დროულად წარდგენის პროცესი და მათი შესაბამისობა თანამდებობის პირების სამეწარმეო და ქონებრივ მდგომარეობასთან.

ბპნ

ვახტანგ მაისაია: „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჯარიმა არასწორად დააკისრეს“

გულიკო ბალაძე

თურქეთის ელჩი აკეთებს ძალიან უცნაურ განცხადებას, რომ თურმე საქართველოში მოქმედებს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტი და მას თურმე ცნობილი ტერორისტი ხელმძღვანელობს. ეს არის სრულიად არაკორექტული განცხადება.

გიულენის მიერ დაარსებულ ორგანიზაციასთან ჩვენს უნივერსიტეტს არავითარი კავშირი არ აქვს. ჯერ კიდევ 2006-2007 წლებში ორი დამფინანსებელი იყო, მაგრამ ისინი წავიდნენ და დღეს ჩვენი უნივერსიტეტი აბსოლუტურად დამოუკიდებელია და არ არის დაკავშირებული რომელიმე დაჯგუფებასთან.

რატომ შეეზღუდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ერთი წლით სტუდენტების მიღება? არის თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება გეოპოლიტიკურ შანტაჟთან დაკავშირებული? „ახალ თაობას“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე და ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ მითხარით, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა. ეს რას ნიშნავს?

– შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის სტუდენტების ახალი ნაკადის მიღების აკრძალვა სერიოზული გამოწვევაა. ეს არის დისკრიმინაციის კანონისა და კონსტიტუციური უფლებების უხეში დარღვევა – ადამიანებს აქვთ უფლება აირჩიონ ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მათ უნდათ განათლება მიიღონ. 800-მა ახალგაზრდამ პირველ რიგში შავი ზღვის უნივერსიტეტი შემოხაზა. მათ ჩააბარეს ამ უნივერსიტეტში.

– თქვენ შავი ზღვის უნივერსიტეტში მუშაობთ?

– დიახ, ამ უნივერსიტეტში მელექციებს ვკითხულობ და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე ვარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მართლაც უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს. ჯერ ერთი, საერთაშორისო ექსპერტები, (ბრიტანელი ექსპერტები) 24-27 აპრილს იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში და უმაღლესი შეფასება მისცეს. ფაქტობრივად, საერთაშორისო ექსპერტების საექსპერტო დასკვნა იქნა გაყალბებული განათლების ხარისხის ცენტრის სხდომის დროს.

– მიზეზები არ არსებობდა?

– თითიდან გამოწოვილი მიზეზები დაასახელა.

– იქ რაღაც ჯარიმების გადახდაზე თუ გადაუხდელობაზე რომ არის საუბარი?

– გადასახადის თემა უზენაეს სასამართლოში იხილება. სასამართლო ხელისუფლების მესამე ინსტანცია ამ საქმეს იხილავს. ხომ შეიძლება უზენაესმა სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ ეს თანხა არასწორად იქნა დარიცხული, მერე რას შვრებიან? ამ საკითხზე სასამართლო მსჯელობა მიმდინარეობს. როდესაც სასამართლო მსჯელობა მიდის, არ შეიძლება იმ დროს რაიმე საკითხს შეეხო. ამ გადაწყვეტილებით აღმასრულებელი ხელისუფლება შეიჭრა სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაში. ფაქტობრივად, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაასწრო სასამართლო ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღება და გამოაჩინა სახელმწიფო შტოებს შორის ბალანსის რღვევა. ეს კონსტიტუციის აშკარა დარღვევაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, გადაამეტოს თავის უფლებამოსილებას. ყადაღა მოხსნილია, უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, თავის ქონებას იყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტები უნივერსიტეტში ვერ შემოვიდოდნენ. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ, განათლების სამინისტროს ეროვნული განათლების ხარისხის ცენტრმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას – არა მხოლოდ განათლების მინისტრს გადაუსწრო, არამედ სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე მაღლა დააყენა თავისი თავი.

– ანუ განათლების ხარისხის ცენტრს არ ჰქონდა უფლება, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ამ კუთხით ემოქმედა?

– დიახ, არ ჰქონდა. უზენაესი სასამართლო ოქტომბერში შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, უნივერსიტეტმა უნდა გადაიხადოს თუ არა ჯარიმა. უნივერსიტეტი ამ ჯარიმას იხდის. თავდაპირველად ჯარიმა მილიონ 200 ათას ლარს შეადგენდა. სასამართლო დისკუსიების შემდეგ, ეს ჯარიმა 700 ათას ლარამდე ჩამოვიდა. ფაქტობრივად, ჯარიმის საკითხიც და მისი წარმომავლობაც გაურკვეველია.

– ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი რისთვის დაჯარიმდა?

– არ ვიცი, გაურკვეველია. ფაქტობრივად, ჯარიმა არასწორად დააკისრეს. თითქოს თანხის გადახდის ვადები იყო დარღვეული. დავუშვათ, ჯარიმა გადასახდელია. უნივერსიტეტი ამ ჯარიმას იხდის. სასამართლომ განიხილა. სასამართლო ინსტანციამ, ფაქტობრივად, ჯარიმის ოდენობა ჩამოაკლო – მილიონ 200 ათასიდან 700 ათას ლარამდე ჩამოვიდა. რა გარანტიაა, რომ უზენაესი სასამართლო ჯარიმის თანხას კიდევ არ შეამცირებს.

– რის გადასახადი ჰქონდა უნივერსიტეტს, საშემოსავლო?

– დეტალებში არ ვიცი. ამ ჯარიმის წარმომავლობა უნდა გაირკვეს და დადგინდეს, რამდენად იყო საჭირო წარმატებული, უძლიერესი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის.

– უნივერსიტეტი ვის ეკუთვნის?

– ეს უნივერსიტეტი ეკუთვნის კერძო მფლობელებს.

– ვინ არიან უნივერსიტეტის კერძო მფლობელები?

– გერმანიის, თურქეთისა და ამერიკის მოქალაქეები.

– საქართველოდან ვინ არის მოწილე?

– არ ვიცი, საქართველოდან ვინ არის მოწილე. მგონი, საქართველოდან არავინ არ არის მოწილე. მეწილეები უცხოელი ინვესტორები არიან. ეს გადაწყვეტილება ძალიან საეჭვოდ დაემთხვა თურქეთის ელჩის არაკორექტულ განცხადებას. თურქეთის ელჩმა საქართველო, ფაქტობრივად, დაადანაშაულა ტერორიზმის სპონსორობაში.

– რატომ ფიქრობთ, რომ უნივერსიტეტისთვის ერთი წლით სტუდენტების მიღების აკრძალვა დაკავშირებულია თურქეთის ელჩის განცხადებასთან?

– თურქეთის ელჩი აკეთებს ძალიან უცნაურ განცხადებას, რომ თურმე საქართველოში მოქმედებს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტი და მას თურმე ცნობილი ტერორისტი ხელმძღვანელობს. ეს არის სრულიად არაკორექტული განცხადება. იმავე დღესვე ხარისხის ცენტრი უნივერსიტეტს სტუდენტების მიღებას უკრძალავს. ეს რას ნიშნავს? არის თუ არა ეს გეოპოლიტიკური შანტაჟი.

– რატომ უწოდებთ გეოპოლიტიკურ შანტაჟს, გეოპოლიტიკასთან არის დაკავშირებული?

– იმის გამო, რაც განხორციელდა.

– ეს უნივერსიტეტი ხომ არ შედის იმ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვში, რომელიც საქართველოში გიულენის მიერ არის დაარსებული?

– გიულენის მიერ დაარსებულ ორგანიზაციასთან ჩვენს უნივერსიტეტს არავითარი კავშირი არ აქვს. ჯერ კიდევ 2006-2007 წლებში ორი დამფინანსებელი იყო, მაგრამ ისინი წავიდნენ და დღეს ჩვენი უნივერსიტეტი აბსოლუტურად დამოუკიდებელია და არ არის დაკავშირებული რომელიმე დაჯგუფებასთან.

რაც შეეხება გიულენს, მას ამერიკის მთავრობამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. მიუხედავად იმისა, თურქეთმა წაუყენა ტერორიზმისა და გადამტრიალებლის ბრალდება, ამერიკის მთავრობა ცოცხალი თავით მის ექსტრადიციას არ ახდენს. ეს თურქეთში ღია პოლიტიკური პრობლემაა. აღნიშნული საკითხი ერდოღანსა და გიულენს შორის პირადი დაპირისპირების დონეზეა, მაგრამ ჩვენს რეალობაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ველზე, ამ დაპირისპირების გადმოტანა დაუშვებელია. როგორ შეიძლება ჩვენ ვიყოთ, თუნდაც მეგობარი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური შანტაჟის ქვეშ. ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ.

– თუ გიულენი არაფერ შუაშია, მაშინ რა საფუძველი აქვს თურქეთს, როცა საქართველოს მხრიდან ტერორიზმის სპონსორობაზე საუბრობს?

– არავითარი ხელჩასაჭიდი თურქეთს არ აქვს. ჩვენ ვნახეთ ემრე ჩაბუქის საქმე, რომელსაც დააბრალეს ტერორისტობა, მაგრამ საქართველოს სასამართლომ მის ექსტრადიციაზე უარი განაცხადა, გაამართლა და ჩაბუქი დღეს აბსოლუტურად თავისუფლად გადაადგილდება. ემრე ჩაბუქის საქმე ძალიან კარგი ინდიკატორია, თურქეთის ხელისუფლება რამდენად ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა თუნდაც სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რაშიც საბაბად გადატრიალებას იყენებს.

საქართველოს სახელმწიფომ ემრე ჩაბუქს დაცვა გამოუყო იმისათვის, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა. თურქეთის სპეცსამსახურმა და საგარეო დაზვერვის სამსახურმა სპეციალური ოპერაციები ჩაატარეს. უკრაინასა და მონღოლეთიდან გაიტაცეს თურქი ოპოზიციონერები, თავიანთი მოქალაქეები, რომლებიც არ ეთანხმებიან ავტორიტარულ რეჟიმს. დიდი შანსია, ანალოგიური ქმედება განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზეც. თურქეთის ელჩის განცხადება და საქართველოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებული ქმედება არის ამის პრელუდია.

– ამ უნივერსიტეტში თურქულენოვანი სწავლება არის?

– არა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, სადაც ყველა საგანი ინგლისურ ენაზე ისწავლება. ქართულენოვანი სექტორიცაა, მაგრამ 95% სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. ეს მაღალი დონის საერთაშორისო უნივერსიტეტია, რომელსაც 64 ქვეყნის უნივერსიტეტებთან პირდაპირი ურთიერთობა აქვს. თავისი მასშტაბითა და აკადემიური ხარისხით პირველია საქართველოში. 400 საერთაშორისო და ქართველი აკადემიური პირია ჩართული ამ უნივერსიტეტში. ყველაზე მეტი უცხოენოვანი სტუდენტები შავი ზღვის უნივერსიტეტს ჰყავს.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ თურქ ინვესტორთან ერდოღანს წინააღმდეგობა აქვს და ამიტომ აკეთებენ მსგავს განცხადებებს? აბა, რა ტერორიზმის სპონსორობაზეა საუბარი?

– არ ვიცი. ერდოღანს უნდა ჰქონდეს პირადი ქსელი. მან შექმნა მარვინის ფონდი, რომელიც არის ერდოღანის მიერ დაფინანსებული, რომელსაც სურს ხელში ჩაიგდოს ყველა თურქული სეგმენტი და საგანმანათლებლო ცენტრები იდეოლოგიზირებული გახადოს. ეს არის პოლიტიკური ექსპანსიონიზმის მშვენიერი მაგალითი. ამით ერდოღანი ცდილობს თავისი ექსპანსიონიზმი გაავრცელოს იმ ქვეყნებში, რომლებიც თავის ინტერესის სფეროში ექცევიან.

– მარვინის ფონდი საქართველოშიც არის?

– დიახ, საქართველოშიც გაიხსნა იმის გამო, რომ უნდათ, ყველა თურქულენოვანი და საერთაშორისო დონის სასწავლებლები ხელში ჩაიგდონ და თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური ჩარჩოები განავითარონ სხვა ქვეყანაში. ეს არის საგანმანათლებლო ექსპანსიონიზმის ერთ-ერთი გამოვლენა.

– თურქეთი რატომ ამბობს, საქართველო ტერორისტებს მფარველობსო?

– კონტექსტიდან ასეთი შინაარსი უნდა გამოვიტანოთ. თურქეთის ელჩმა თქვა, საქართველოში მოქმედებს ტერორისტების მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტი და მისი ხელმძღვანელი არის ტერორისტი. ეს რას ნიშნავს, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები საქართველოში მფარველობის ქვეშ არიან?! ფაქტობრივად, თურქეთმა განაცხადა, რომ საქართველო არის საერთაშორისო ტერორიზმის სპონსორი ქვეყანა.

– ორმაგი დარტყმის ქვეშ ვექცევით? უნივერსიტეტი უნივერსიტეტია, მაგრამ სინამდვილეში სახელმწიფო არ ექცევა დარტყმის ქვეშ? მით უმეტეს, რუსეთს მუდმივად აქვს პრეტენზია საქართველოში ტერორისტების არსებობასთან დაკავშირებით.

– თურქეთი დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყანას დაუპირისპირდა. ის გახდა დემოკრატიის მტერი. იქ არის ავტოკრატიული რეჟიმი. თუ ჩვენ გვინდა, ავტორიტარულ რეჟიმთან ასეთი ურთიერთობა გავაგრძელოთ, მაშინ ჩავთვალოთ, რომ ჩვენთანაც ავტორიტარიზმის აღმოცენების გზაზე ვდგავართ. რუსეთს რატომ არ უქმნის პრობლემებს თურქეთი.

არ დაგავიწყდეთ, რუსეთი და თურქეთი სტრატეგიული მოკავშირეებია. მათი გაერთიანება საქართველოს გეოპოლიტიკურ საშიშროებას უქმნის. არ გამოვრიცხავ, ამის უკან რუსული ინტერესები იდგეს, რადგან რუსეთიც აცხადებდა, რომ საქართველოში ტერორისტები არიან. ნახეთ, როგორი ვორდინგია.

– დღემდე თურქეთი საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირედაც ხომ ითვლება?

– გეოპოლიტიკური მომენტები იცვლება. მაგალითად, ამერიკა და თურქეთი აბსოლუტურად მტრულ ურთიერთობებში გადავიდნენ. მათ სტრატეგიულ მოკავშირეობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამერიკის საელჩოსთან მოხდა ტერაქტი, შაჰიდმა თავი აიფეთქა. მანამდე ამერიკულ დოლარებს წვავდნენ, სიმბოლოები დაწვეს. ამერიკამ თურქეთს და რუსეთს ერთდროულად გამოუცხადა ეკონომიკური სანქციები.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის ჯამში 510 კლუბი, გასართობი ცენტრი და სავაჭრო ობიექტი დაჯარიმდა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, 2018 წლის 1-ელი იანვრიდან 1-ელი ივლისის ჩათვლით, ჯამში 248 ობიექტი შეამოწმა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს მასშტაბით შემოწმებულია 66 საკლუბო და გასართობი ცენტრი; 182 სავაჭრო ცენტრი და კომპლექსი.

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით, 2018 წლის ორი კვარტლის მონაცემებით, დაჯარიმებულია 510 ობიექტი, ხოლო ჯარიმების საერთო ოდენობამ 51.800 ლარი შეადგინა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განმარტავენ, რომ შემოწმებულ პერიოდში ჯარიმის ოდენობა 50-დან 200 ლარამდე მერყეობდა, თუმცა, სამსახურში აღნიშნავენ, რომ 2018 წლის 1-ელი აგვისტოდან ჯარიმების ოდენობა გაიზარდა და 2.000 ლარიდან 5.000 ლარამდეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, 1-ელი აგვისტოდან ამოქმედებული ახალი რეგულაციის თანახმად, კვების ობიექტებს – რესტორნებსა და კაფეებსაც შეამოწმებს.

დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლება ყველა დონეზე უნდა გააქტიურდეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის მე-8 მოწვევის დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ სახელმწიფო რწმუნებულები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ პრემიერ– მინისტრის თვალსა და ყურს რეგიონებში. ამიტომ რწმუნებულების შეცვლის გადაწყვეტილება აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო. თუმცა, პასუხისმგებლობა რწმუნებულების რეკომენდატორებსაც უნდა დაეკისროთ.

– ბატონო დავით, ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბევრი ცვლილება განახორციელა, ახლა ჯერი მიდგა რწმუნებულებზე. რა შედეგს მოიტანს ეს ცვლილებები?

– რწმუნებულების ცვლილება მოსალოდნელი იყო. სახელმწიფო რწმუნებულები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ პრემიერ-მინისტრის თვალსა და ყურს რეგიონებში. რწმუნებულების შეცვლის გადაწყვეტილება აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო.

ამ თანამდებობის პირებს, რომელიც არის პოლიტიკური თანამდებობა, რეგიონებში ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მათი მთავარი პასუხისმგებლობაა, რეგიონებში ხელისუფლების გზავნილები მიიტანოს. ამ ადამიანების გულისტკივილი უნდა იყოს რწმუნებულების ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

ვფიქრობ, ადგილებზე საკმარისი რესურსი გააჩნიათ და ახალი რწმუნებულები რეგიონებში ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად შეცვლიან.

– მიუხედავად იმისა, ახალ-ახალი ხელმძღვანელები ინიშნებიან, მაინც გვხვდება ისეთი ფაქტები, რომელიც ადამიანებს აოცებთ. მაგალითად, არაერთი შემთხვევაა, როცა სოციალურად დაუცველებს დახმარებას უხსნიან, სოფლებს არ აქვთ წყალი და სხვა, რაც მოსახლეობის პროტესტს იწვევს. რამდენადაც ვიცი, ყველა პროცესს, რაც ადგილებზე ხდება, ის პრობლემები, რაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა მოაგვაროს, ხოლო ზედამხედველობა რწმუნებულებმა უნდა გაუწიონ, ამ პროცესებზე ძველი რწმუნებულები ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებდნენ?

– სოციალური დახმარებების კუთხით მნიშვნელოვანი როლი ადგილობრივ თვითმმართველობებს და რწმუნებულებს ეკისრებათ. მათი მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს. თუმცა, ადამიანებისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტა არ ხდება რომელიმე ჩინოვნიკის ბრალეულობით. ადამიანებს სოციალური დახმარება უწყდებათ დამტკიცებული პროგრამით, რომელსაც, ფაქტობრივად, კომპიუტერი ახორციელებს იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც არსებობს.

სწორედ აქ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, რომ არსებული უზუსტობა გასწორდეს. არაერთი მსგავსი შემთხვევა მახსენდება ჩემი პარლამენტის წევრობის დროინდელი, როდესაც ვანის რაიონში ადამიანებს მოუხსნეს სოციალური დახმარება და ჩემი ძალისხმევით მოხდა საკითხის დამატებით კომისიური შესწავლა და მათ აღუდგინეს სოციალური დახმარება. შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული, უბრალოდ, აუცილებელია ყურადღების მიქცევა.

– მაინცდამაინც ისეთ ადამიანებს როგორ უხსნიან სოციალურ დახმარებას, ვისაც არ უნდა მოეხსნას? თან ოპოზიციაც ჩასაფრებულია და მათ ადვილად პოულობს.

– ოპოზიციური პარტიების მხრიდან ასეთი მოქალაქეების პოვნა პრობლემა არ არის. რაიონებსა და სოფლებში ოპოზიციურ პარტიებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ. ჩასაფრებული არიან. ოპოზიციური პარტიის საქმე ისაა, ადამიანებს წაკბინოს, ისეთი აზრი შექმნას, თითქოს ხელისუფლება სოციალურად დაუცველ ადამიანებს ყურადღებას არ აქცევს. ეს ასე არ არის.

ფაქტების გაბუქება ხდება. თუმცა, კონკრეტულ ფაქტზე ჯანდაცვის სამინისტრომ კონკრეტული რეაგირება უნდა მოახდინოს. არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, მით უმეტეს, რომელიც ტელევიზიით გაშუქდება. ყოველი ასეთი ფაქტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კონტროლზე უნდა აიყვანონ.

– დღეს კიდევ საუბარი იმაზე, რომ ზოგ სოფელს წყალი და გზა არ აქვს, დამეთანხმებით, სირცხვილია. სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ მთავრობას უნდა რწმუნებულებმა მათი სწრაფი გადაწყვეტილებები სწრაფადვე აღასრულონ.

– სწორედ ასეა. 2018 წელს 800 მილიონი უნდა დახარჯოს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ. ამას სჭირდება უფრო მეტი ჩართულობა, თქვენ ბრძანებთ, რომ ჯერ კიდევ არის სოფლები, სადაც არ არის წყალი და გზა. სამწუხაროდ,

ხდება ისე, რომ წინა ხელისუფლების 9 წელი რატომღაც გაქრა რეალობიდან.

თუ დღეს სოფელს წყალი და გზა არ აქვს, ეს იმას ნიშნავს, მათ დროსაც არ ჰქონდა. წელს ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 800 მილიონი იხარჯება და ეს ყველაფერი კეთდება, მაგრამ იმდენად დიდია შავი ხვრელები, რომ ამ შავი ხვრელების ამოვსება თუნდაც ხუთი წლის განმავლობაში ძალიან გაუჭირდება. ტემპი არის დასაჩქარებელი. ამიტომ ხელისუფლება ყველა დონეზე უნდა გააქტიურდეს. პრობლემები არის, მაგრამ ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე თუნდაც 2012 წელს იყო. ამაში აბსოლუტურად გულწრფელი ვარ.

– „ოცნების“ პირობებში 6 წელი გავიდა და საზოგადოება აღარ ფიქრობს იმაზე, იმის იქით რა იყო. ამ ხელისუფლების პირობებში კიდევ რომ არის პრობლემები, კითხულობს, რატომ არის პრობლემებიო?

– არ ვამბობ, პრობლემები არ არის-მეთქი, მაგრამ მე, რომელმაც ვიცი, რა იყო ჩვენამდე და რა არის დღეს. აქედან ამოვდივარ. დღეს ბევრად ნაკლები პრობლემაა. სამწუხაროდ, ნაცმოძრაობა და მისი ამფსონები საზოგადოებას აწვდიან ისეთ ინფორმაციას, თითქოს 2012 წელს აყვავებული და გაბრწყინებული ქვეყანა ჩაგვაბარეს, სადაც რძის მდინარეები მოდიოდა და ახლა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ანგრევს ნაციონალების აშენებულს.

– ახალ რწმუნებულებს თუ იცნობთ? ზოგის მიმართ საზოგადოებაში კითხვები არსებობს.

– ახალდანიშნული რწმუნებულებიდან ზოგიერთზე კითხვები არსებობს. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს. ამიტომ თუ საზოგადოებაში რომელიმეს მიმართ კითხვის ნიშნები გაჩნდება და რაიმე ფაქტი არსებობს, არ დაიმალება.

– ერთ-ერთი ახალდანიშნული რწმუნებულის, ხოჯევანი შვილის მიმართ არსებობს კითხვები. ის ნაციონალების სასჯელაღსრულების მინისტრის, კალმახელიძის მოადგილე იყო და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას ხელმძღვანელობდაო. მოგეხსენებათ, იმ დროს რა მდგომარეობაში იყო პენიტენციური სისტემა, ამ დროს ეს ადამიანი საერთაშორისო ურთიერთობებს ხელმძღვანელობდა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თვალი დავხუჭოთ ასეთ რამეებზე?

– როდესაც ადამიანი ხდება საჯარო პირი და კითხვები ჩნდება, მან უნდა ახსნას და საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს პასუხი გასცეს. თუ საზოგადოებაში ისევ დარჩება პასუხგაუცემელი კითხვები, ცუდი იქნება. ჩემთვის ძნელია ვიმსჯელო ამ ადამიანის პოლიტიკურ ჩართულობაზე იმ პერიოდში და იმ საშინელებებში, რაც ხდებოდა.

ნაცმოძრაობის დროს რომ სიბინძურეები ხდებოდა, რაც იყო ყველაზე ცუდი სავიზიტო ბარათი ჩვენი ქვეყნისთვის – საპატიმრო ადგილებში 600-ზე მეტი ადამიანი მოკლეს, რაც, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში აღფრთოვანებას არ იწვევს. ამიტომ თვითონ ხოჯევანი შვილმა უნდა გააკეთოს განმარტება. თუმცა, რადგან ეს ადამიანი სახელმწიფო რწმუნებულის პოსტზე დასანიშნად შეარჩიეს, ეს იმას ნიშნავს, მასზე პასუხისმგებლობა აიღო ე.წ. რეკომენდატორმა.

– ამ შემთხვევაში, მგონი, ხოჯევანი შვილის რეკომენდატორი სოზარ სუბარი უნდა ყოფილიყო, მან განაცხადა, ჩემ დროსაც მუშაობდა და თავი გამოიჩინაო.

– არ ვიცი, მაგრამ ჩვენს რეალობაში რეკომენდატორების ინსტიტუტი უნდა შემოვიდეს, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს მის მიერ მიცემულ რეკომენდაციაზე. ბუნებრივია, ასეთ თანამდებობებზე შემთხვევითი ადამიანები ვერ მოხვდებიან. კონკრეტულ პირს რეკომენდაციას უწევს გარკვეულ სფეროში რაღაც გავლენის მქონე ადამიანი. ამიტომ არც ის ადამიანი არ უნდა იყოს დამალული.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის ხელფასად 6250 ლარი, მეხანძრე-მაშველის ყოველთვიურ სარგოდ კი — 750-დან 1200 ლარამდე განისაზღვრა

საქართველოს მთავრობამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა ფულადი სარგოსა (თანამდებობრივი სარგო და წოდებრივი სარგო) და ფულად სარგოზე დანამატის ოდენობებისა და გაცემის წესი დაამტკიცა. განკარგულება, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე აწერს, 2018 წლის 9 აგვისტოდან შევიდა ძალაში და 2018 წლის 1-ელი აგვისტოდან წარმოშობილ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე მოქმედებს.

მთავრობის განკარგულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 4.560 თანამშრომელს ეხება. როგორც განკარგულების დანართშია აღნიშნული, სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგო თვეში 6.250 ლარით განისაზღვრა, ხოლო წლიურად 75.000 ლარია. სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო 5.900 ლარია, ხოლო წლიური სარგო 70.800 ლარი; სამსახურის უფროსის მოადგილის თვიური სარგო 5.800 ლარი, წლიური კი – 69.600 ლარია. რაც შეეხება დეპარტამენტის უფროსებს, როგორც დანართიდან ირკვევა, მათი თვიური თანამდებობრივი სარგო 5.000 ლარია.

რაც შეეხება მეხანძრე-მაშველებს, მათი თანამდებობრივი სარგო 750 ლარიდან 1.200 ლარამდე მერყეობს წოდებების და ნამსახურეობის მიხედვით.

მთავრობის აღნიშნული განკარგულებით, ასევე დამტკიცდა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები.

როგორც მთავრობის განკარგულების დანართიდან ირკვევა, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო 4.800 ლარი იქნება, ხოლო წლიური სარგო 57.600 ლარი. განყოფილების უფროსის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 1.200-დან 1.700 ლარამდეა, ხოლო მთავარი სპეციალისტის – თანამდებობრივი სარგო 1.200 ლარიდან 1.500 ლარამდე განისაზღვრა.

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა ფულად სარგოზე დანამატის ოდენობებს, მთავრობის განკარგულების თანახმად, მოსამსახურეს, რომელსაც მიენიჭა სპეციალური წოდება, ყოველთვიურად ეძლევა სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ფულად სარგოზე (თანამდებობრივი სარგო და წოდებრივი სარგო) დანამატი შემდეგი პროცენტული ოდენობით: 1-დან 2 წლამდე ნამსახურეობისთვის 5 პროცენტი, 2-დან 5 წლამდე ნამსახურეობისთვის 10 პროცენტი; 5-დან 10 წლამდე ნამსახურეობისთვის 15 პროცენტი და 10 წლის ან მეტის ნამსახურეობისთვის 20%.

გარდა ამისა, მრავალშვილიან მოსამსახურეებს ეძლევათ ყოველთვიური დანამატი, ხოლო სამსახურის სისტემის იმ მოსამსახურეებს, რომელთაც მინიჭებული არ აქვთ სახელმწიფოს სპეციალური წოდება არაუმეტეს ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 20 პროცენტისა: ოთხი შვილის მშობელს 250 ლარი; ხუთი შვილის მშობელს – 375 ლარი; ექვსი შვილის მშობელს 500 ლარი, ხოლო შვიდი და მეტი შვილის მშობელს 625 ლარი.

BFM.GE

ირაკლი ხმალაძე: „გადასასვლელი ხიდების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი არის ვიზუალური მხარე“

– გადასასვლელი ხიდების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი არის ვიზუალური მხარე, – ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ის მეტალის კონსტრუქციები, რაც დედაქალაქშია, არ შეესაბამება ქალაქის იერსახეს.

– გადასასვლელი ხიდების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი არის ვიზუალური მხარე. ის მეტალის კონსტრუქციები, რომელიც დღეს ქალაქში დგას, არც თუ ისე ლამაზია და მაინცდამაინც არ შეესაბამება ქალაქის იერსახეს. დღეს დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ შევიმუშაოთ უფრო უკეთესი ვიზუალი. რა თქმა უნდა, ქვეითებისთვის უსაფრთხო გადასასვლელის მოწყობა პრიორიტეტულია, მაგრამ როდესაც შეიძლება პარალელურად ვიზუალურ მხარეზეც ვიზრუნოთ, ესეც უნდა გავაკეთოთ, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

კომერსანტი

საქართველოს კაპიტალმა ქინძმარაულის მარანში დარჩენილი 39.5% გამოისყიდა

საქართველოს კაპიტალმა „ქინძმარაულის მარანში“ წილი 100%-მდე შეივსო.

საინვესტიციო ჰოლდინგმა დარჩენილი 39.5%-იანი წილის გამოსყიდვაზე განაცხადა. გარიგების ღირებულება არ დასახელებულა.

მანამდე, ამ წლის აპრილში CGEO-მ შვილობილი კომპანიის მეშვეობით, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლის წილის ნაწილი 60.5% იყიდა. კომპანიის ნახევარწლიურ ფინანსურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ წილის შეძენა ჰოლდინგს 7.5 მლნ დოლარი დაუჯდა.

საქართველოს კაპიტალი იმედოვნებს, რომ მინორიტარული წილის გამოსყიდვა მისი ქოლგის ქვეშ არსებულ სასმელების ბიზნესს გააძლიერებს.

„ქინძმარაულის მარანი“ ცნობილი ქართული ღვინოების და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელია. ფლობს 350 ჰა ვენახს კახეთში.

GBC

თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობისთვის 119 მილიონი ლარი დაიხარჯება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თბილისი-რუსთავის გზის მეორე მონაკვეთს აშენებს.

პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 119 მილიონი ლარია. 800-მეტრიანი მონაკვეთი წარმოადგენს ინდუსტრიულ ზონას და სამშენებლო არეალი უახლოესი მრავალსართულიანი სახლებიდან დაშორებულია 120 მეტრით.

თბილისი-რუსთავის გზა მეზობელი აზერბაიჯანის საზღვარს უკავშირდება და მისი მოდერნიზაცია მნიშვნელოვანია სატრანზიტო თვალსაზრისით. პროექტის დასრულების შემდეგ, მოსახლეობა უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას.

კომერსანტი

გიორგი ქობულია საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია სახელმწიფო საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ინფორმაცია ტაბულას ეკონომიკის სამინისტროში დაუდასტურეს. ქობულია ამ პოსტს მომდევნო 2 წლის განმავლობაში დაიკავებს.

სამეთვალყურეო საბჭო საპენსიო სააგენტოს ერთ-ერთი მმართველი ორგანოა. კანონმდებლობის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივი წევრები არიან – ეკონომიკის, ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრები, ასევე საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე.

დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის მიხედვით, სწორედ მინისტრებით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს საპენსიო სააგენტოს დირექტორს.

ამჟამად მთავრობა საპენსიო სააგენტოს დირექტორს ეძებს. სახელმწიფო დასაქმების პორტალზე გამოქვეყნებული ვაკანსიის მიხედვით, დირექტორის ანაზღაურება თვეში 10,000-15,000 ლარი იქნება. ეს წლიურად მაქსიმუმ 180,000 ლარის ხელფასს ნიშნავს. დირექტორისგან განსხვავებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ანაზღაურებას არ მიიღებენ.

საქართველოს მთავრობა 2019 წლის პირველი იანვრიდან ნაწილობრივ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო რეფორმის დაწყებას გეგმავს. სისტემის ამოქმედების შემდეგ მოქალაქეთა მთლიანი ხელფასის 6% ყოველთვიურად გადაირიცხება სპეციალურ სახელმწიფო საპენსიო ფონდში. ეს ფონდი მოქალაქეთა მიერ დაზოგილ თანხას სხვადასხვა საინვესტიციო პროექტში დააბანდებს და მას საპროცენტო სარგებელსაც დაარიცხავს. ამ ფულს მოსახლეობა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, საბაზო პენსიასთან (დღეს 180 ლარი) მიიღებს. რეფორმა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ტვირთის ბიუჯეტიდან მოქალაქეებზე გატანას ისახავს მიზნად და ის საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს (40 წელი და მეტი) ეხება.

რეფორმის დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრო ვერ ასახელებს უშუალოდ რა თანხას მიიღებენ მოქალაქეები 40 წლის დაზოგვის შემთხვევაში. მთავრობა მხოლოდ სავარაუდო რიცხვებზე საუბრობს.

საპენსიო სქემაში ავტომატურად ჩაერთვება ყველა მოქალაქე, ვინც ანაზღაურებას გაფორმებული კონტრაქტის შედეგად იღებს. სისტემა ნაწილობრივ სავალდებულო პრინციპით მოქმედებს. 40 წელზე უფროსებს არჩევანი ექნებათ, გაწევრიანდნენ თუ არა სისტემაში, 40 წლამდე პირებს კი, დაზოგვის ვალდებულება გაუჩნდებათ. საპენსიო სქემა ეხება დასაქმებულს, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს. წინასწარი პროექტის მიხედვით, მათი თანამონაწილეობა გამოისახება შემდეგი ფორმულით:

დასაქმებული ფონდში რიცხავს ყოველთვიური ხელფასის 2%-ს.

დამსაქმებელი ფონდში რიცხავს დასაქმებულის ხელფასის 2%-ს.

სახელმწიფო დასაქმებულის საშემოსავლო გადასახადიდან იღებს 2%-ს და მას საპენსიო ფონდში რიცხავს.

მივიღეთ ფორმულა 2%+2%+2%, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად დასაქმებულის მთლიანი (და არა ის, რასაც ხელზე იღებს) ხელფასის 6% დაიზოგება.

თუ პირის შემოსავალი წელიწადში 60.000 ლარზე მეტია, სახელმწიფო მისი საშემოსავლო გადასახადიდან საპენსიო ფონდში კონტრიბუციას არ მოახდენს.

ამ ფულს სპეციალური საპენსიო სააგენტო განკარგავს. თანხა ჩაიდება ადგილობრივ საფინანსო აქტივებში – სახაზინო ობლიგაციებსა და ქართული კერძო ბიზნესის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში. ფონდის საინვესტიციო საქმიანობაზე ზედამხედველი ეროვნული ბანკი იქნება.

საპენსიო რეფორმა მოსახლეობის განკარგვად შემოსავლებს შეამცირებს, დამსაქმებლებისთვის კი პრაქტიკულად ახალ გადასახადს წარმოადგენს.

მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არაა სათანადოდ განჭვრეტადი გარემო ისეთი გრძელვადიანი ინვესტიციისთვის, როგორსაც საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს. მეტიც, თავად ეკონომიკის სამინისტროც კი ერიდება იმის თქმას, რა იქნება ის საპროცენტო სარგებელი, რასაც ფონდი დაზოგილ თანხებს დაარიცხავს.

შესაბამისად, განჭვრეტადი გარემოს არარსებობის პირობებში, მოსახლეობის მიერ ფონდში გადარიცხული თანხა არის ხარჯი. ეს არის თანხა, რაც მოსახლეობის განკარგვად შემოსავლებს აკლდება. ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღარიბის გათვალისწინებით, მთავრობა შემოსავლის ნაწილს წაართმევს უკიდურესად გაჭირვებულ ფენას, რომელსაც საკუთარი არსებობისთვის შემოსავალი ესაჭიროება არა 40 წლის შემდეგ, არამედ დღეს.

ამავდროულად, არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, როდესაც სახელმწიფომ საპენსიო ფონდში არსებული თანხა საერთოდ მითვისა, შესაბამისად რთულია ითქვას, საერთოდ მიიღებს თუ არა მოსახლეობა რამეს მათ მიერ წლების განმავლობაში დაზოგილი ფულის სანაცვლოდ.

საპენსიო რეფორმა ვალდებულებებს დამსაქმებლებსაც აკისრებს, მათ ფონდში დასაქმებულის ხელფასის 2%-ის მოცულობის შენატანები უნდა განახორციელონ, რაც კომპანიებისთვის დამატებით ხარჯს წარმოადგენს. დასაქმებულისგან განსხვავებით, დამსაქმებლებს არჩევანი არ აქვთ, თუ დასაქმებული ფონდში მონაწილეობას დათანხმდა, მის დამსაქმებელს სხვა გზა არ რჩება, და ისიც ავტომატურად ერთვება სქემაში, ეს კი მათთვის ახალი გადასახადის დაწესებასთან საკმაოდ ახლოსაა. სქემაში ჩართვის შემდეგ კომპანიებს სამი არჩევანი აქვთ:

დასაქმებულის საპენსიო ფონდში ჩარიცხონ დასაქმებულის ხელფასის 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის მოცულობა არ შემცირდეს. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის ხარჯები იზრდება. მაგალითად, თუ ხელფასია 1000 ლარი, დასაქმებულის ხელფასი დარჩება 1000 ლარი და ამასთან ერთად, დამსაქმებელი კიდევ 20 ლარს ჩარიცხავს ფონდში. ჯამში დამსაქმებლისთვის დასაქმებულის ხარჯი გაიზრდება 20 ლარით.

დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% მოაკლონ დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონდში. ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება.

ნებისმიერი სახის თანაფარდობა ხელფასის 2%-ით შემცირებასა და დასაქმებულის შენახვის ხარჯების 2%-ით ზრდას შორის.

კომერსანტი

კახა კალაძე ტაქსის მძღოლებს მოუწოდებს, შესაბამისი ლიცენზია დროულად აიღონ

თბილისის მერი კახა კალაძე ტაქსის მძღოლებს მოუწოდებს, შესაბამისი ლიცენზია დროულად აიღონ.

კალაძემ თბილისის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 1-ელი ოქტომბრიდან ტაქსებს ლიცენზიის გარეშე მომსახურების გაწევა აეკრძალება, ლიცენზიის გარეშე გადაადგილება კი 200 ლარით დაჯარიმდება.

მისივე თქმით, ქალაქში არსებული ქაოსი, რომელიც მათ შორის ტაქსების მოძრაობას ეხება, უნდა მოწესრიგდეს.

– 21 აგვისტოდან იუსტიციის სახლში დაიწყო ნებართვების გაცემა. იქ არის სპეციალურად გამოყოფილი ერთი ადგილი, სადაც მისულ ადამიანებს მოემსახურებიან იუსტიციის სახლის თანამშრომლები. დღეის მდგომარეობით, 500-მდე ნებართვა არის გაცემული და მსურველებს მინდა მივმართო, რომ იაქტიურონ, რადგან 1-ელი ოქტომბრიდან უკვე ლიცენზიის გარეშე ამ სერვისის გაწევა იქნება შეუძლებელი. თუ დაფიქსირდება შემთხვევები, რა თქმა უნდა, იქნება ჯარიმები. ჯარიმა არის 200 ლარი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულების მოწესრიგება, რადგან ქალაქში ზოგადად ქაოსია ამ მიმართულებით, – განაცხადა კალაძემ.

ვარაზისხევზე არსებული ქვაფენილი, შესაძლოა, ასფალტით შეიცვალოს

ვარაზისხევზე არსებული ქვაფენილი, შესაძლოა, ასფალტით შეიცვალოს. როგორც დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, თუ მოსახლეობა დაეთანხმება აღნიშნულ წინადადებას, მაშინ ასფალტი დაიგება.

კალაძის თქმით, ქვაფენილი საკმაოდ ხმაურიანი და პრობლემურია, ამიტომ, მერმა შესაბამის სამსახურებს დაავალა, რომ მცირე გამოკითხვა ჩაატარონ, არის თუ არა მოსახლეობა თანახმა, ქვაფენილი შეიცვალოს.

– ვარაზისხევზე დღეს არის ქვაფენილი, რომელიც ძალიან ხშირად ზიანდება და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მინდა უბრალოდ ვიკითხო, თუ არის შესაძლებელი, რომ ქვაფენილის ნაცვლად გაკეთდეს თანამედროვე, ევროპული ტიპის ასფალტი. ვკითხოთ ადგილობრივ მოსახლეობასაც. მგონია, რომ ჯერ ერთი,

ხმაურია, მტვერი და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პირველ რიგში იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, ამიტომ, პატარა გამოკითხვა ჩავატაროთ თუ როგორი დამოკიდებულება იქნება ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ. საფეხმავლო გზის გაფართოებაც იქნება შესაძლებელი, – განაცხადა კალაძემ.

ლირისა და რუბლის გაუფასურებას სომხურ დრამსა და აზერბაიჯანულ მანათზე გავლენა არ მოუხდენია

„ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში აშშ დოლართან მიმართებით ერთკვირიანი რყევის შემდეგ ეროვნულმა ლარმა პოზიციების დაბრუნება დაიწყო. ვაჭრობის დასასრულს 1 აშშ დოლართან მიმართებით ლარი 2,5439 ნიშნულზე გაჩერდა. ეროვნული ბანკის დადგენილი კურსით კი 1 აშშ დოლარის ღირებულება 2,5538 ლარია.

ეკონომისტი აკაკი ცომაია ამბობს, რომ აჟიოტაჟი ჩაცხრა და ეროვნული ვალუტა თანდათან იმ ნიშნულს დაუბრუნდება, საიდანაც გაუფასურება დაიწყო:

– აჟიოტაჟს უნდა მოჰყვეს კურსის დაბრუნება იმ ნიშნულზე, საიდანაც გაუფასურება დაიწყო. თუმცა ამას დრო დასჭირდება. მთავარია, ლართან მიმართებით სტერეოტიპები დაიმსხვრეს და საზოგადოება ეროვნულ ვალუტას ენდოს.

აკაკი ცომაია ამბობს, რომ ლარის კურსის ვარდნა აშშ დოლართან მიმართებით აჟიოტაჟის შედეგია. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ლარის კურსზე გავლენა იქონია გარე ფაქტორებმა, კერძოდ, აშშ დოლართან მიმართებაში თურქული ლირას და რუსული რუბლის გაუფასურებამ. ლირისა და რუბლის

რატომ დაეცა ლარის კურსი

ვარდნის ექო თბილისში თურქულმა ლირამ აშშ დოლართან გაუფასურება ივნისიდან დაიწყო. ბლუმბერგის მონაცემებით, კურსის ვარდნამ პიკს 12 აგვისტოს მიაღწია და 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 6,46 ლირა შეადგინა. რუსული რუბლის აშშ დოლართან გაუფასურების პიკი 14 აგვისტოს იყო. რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 69,22 რუბლი შეადგინა. ეროვნულმა ლარმა აშშ დოლართან მიმართებაში პოზიციების დათმობა 10 აგვისტოდან დაიწყო. გაუფასურების პიკი 15 აგვისტოს დადგა, როცა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსით 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 2,63 ლარი შეადგინა. ამ პერიოდში სომხური დრამი აშშ დოლართან მიმართებაში არ გაუფასურებულა. ბლუმბერგის მონაცემებით, მიმდინარე თვეს სომხეთის ვალუტა პოზიციებს ინარჩუნებს და 100 სომხური დრამი სტაბილურად 0,21 აშშ დოლარი ღირს. სტამბოლური პოზიცია აქვს აზერბაიჯანულ მანათს. 1 1 აშშ დოლარის ღირებულება 1,70 მანათს შეადგენს.

რატომ გაუფასურდა ლარი აშშ დოლართან მიმართებით, როცა მეზობელი ქვეყნების ვალუტებს, სომხურ დრამსა და აზერბაიჯანულ მანათს, არც თურქული ლირისა და არც რუსული რუბლის გავლენა არ უგრძნია?

– როცა იწყება ლირას გაუფასურება ან რუბლის არის დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომ ლარიც უნდა გაუფასურდეს და იწყება აჟიოტაჟი. ეს არის წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორი. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს საზოგადოებას ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ. ასევე ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. იგულისხმება ეროვნული ბანკი თუ მთავრობა. ფსიქოლოგიური ფაქტორი ყალიბდება იქიდან, რომ წარსულში რაღაც მოვლენას ჰქონდა ადგილი, – ასეთ შეფასებას აკეთებს ეკონომისტი აკაკი ცომაია ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან გაუფასურების შესახებ.

მისი თქმით, ფსიქოლოგიური ფაქტორი ქმნის მოლოდინებს. კერძოდ გაჩნდა მოლოდინი, დაიწყეს ლარის მოშორება, განსხვავებით სომხეთისგან და აზერბაიჯანისაგან, როცა თურქულმა ლირამ და რუსულმა რუბლმა დაიწყო ვარდნა:

– ასე სწრაფად არ უნდა მომხდარიყო ლარის კურსის ვარდნა, როცა ლირა გაუფასურდა ეს დინამიკური პროცესია. როცა ლირა გაუფასურდა და დოლარის დეფიციტი შეიქმნა უნდა გაიზარდოს თურქეთიდან იმპორტის რაოდენობა და ეს პროდუქცია გაიაფდეს. ამან გამოიწვიოს საქართველოდან უცხოური ვალუტის გასვლა და შეიქმნას დეფიციტი. ამას დრო სჭირდება. ფაქტია, რომ თურქეთში ლირას გაუფასურების გამო, ჯერჯერობით თურქული ნაწარმი არ გაიაფებულა. ახლა საუბარი იმაზე, რომ მოხდა დიდი რაოდენობით იმპორტი, შეუძლებელია, – ამბობს ცომაია.

ვინ შექმნა აჟიოტაჟი და ვის სჭირდება ჭარბი დოლარი?

აკაკი ცომაიას შეფასებით, ეს არის იმპორტიორების ჯგუფი, ინვესტორები და ის პირები, რომლებსაც დანაზოგი აშშ დოლარში აქვთ:

– ლარის კურსის ვარდნის მოლოდინი გაუჩნდათ იმ ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ იმპორტს და სჭირდებათ დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა ერთი წრეა საზოგადოების. მეორე ჯგუფია, რომელსაც აქვთ დანაზოგები ისინი ცდილობენ ეს დანაზოგი შეინახონ დოლარში, რადგან აქვთ შიშები და მოლოდინები. მესამე კი – ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს და სურთ, თავიანთი ანგარიშები აწარმოონ მყარ ვალუტაში, ანუ დოლარში. შეუძლიათ, ლარში აწარმოონ, მაგრამ უფრო დაცულად გრძნობენ თავს, როცა მოგებას ითვლიან დოლარში, გამომდინარე იქიდან, რომ ლარის მიმართ და ინსტიტუტების მიმართ არ არის ნდობა, – ამბობს ცომაია.

ლარმა აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურება 10 აგვისტოს დაიწყო და ერთ კვირაში თითქმის 18 თეთრით გაუფასურდა.

ქობულეთში მცხოვრებ 22 წლის ახალგაზრდას სამ თვეზე მეტია, უშედეგოდ ეძებენ

გიგა გოგიტიძის ოჯახი დახმარებას ითხოვს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში 12 მაისს გაუჩინარებულ ახალგაზრდას ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ. როგორც დაკარგულის – გიგა გოგიტიძის ძმამ გაზეთ „ახალ თაობას“ განუცხადა, მისი ძმა ბოლოს კამერებმა ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს.

დაკარგულის ოჯახი დახმარებას ითხოვს.

გიორგი გოგიტიძე – დაკარგულის ძმა:

ჩემი ძმა სახლიდან 12 მაისს, დილის საათებში გავიდა. ბოლოს იგი ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კამერებმა დააფიქსირეს. მას შემდეგ მისი კვალი არსად ჩანს. ბოლოს ჩემი ძმა დაკარგვის დღეს დილით ვნახე. სოფელში ვიყავი, ჩვეულებრივი დიალოგი გვქონდა, არანაირი საეჭვო რამე არ შემიმჩნევია.

– თქვენ რა ვერსია გაქვთ, რა შეიძლება მომხდარიყო, ან სად შეიძლება წასულიყო თქვენი ძმა?

– ასე კონკრეტულზე რომ ვფიქრობდე, არა. არავისთან კონფლიქტი არ ჰქონია. ასი პროცენტით ვადასტურებ, მტრები ნამდვილად არ გვყოლია. ვარაუდი გვქონდა, რომ საზღვრის ავლით გადავიდა მეზობელ რომელიმე ქვეყანაში. როცა არ გაქვს კონკრეტული ვერსია, ბევრ რამეზე ვფიქრობ. ამ სამი თვის განმავლობაში ყველაფერზე ნაფიქრი მაქვს. იმაზეც ნაფიქრი მაქვს, რომ უკვე ცოცხალიც აღარ არის.

– სუიციდის მცდელობას რამდენად გამორიცხავთ?

– დიახ, თვითმკვლელობის ვერსიას ნამდვილად გამოვრიცხავთ. თუ ის რაღაცას აპირებდა, რატომ უნდა წასულიყო ბათუმში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არანაირი საეჭვო არ შემიმჩნევია და ჩემ ძმას თავის მოსაკლავი ნამდვილად არაფერი სჭირდა. მე ვფიქრობ, გზაში რაღაც მოხდა. კონკრეტულად ვერაფერზე ვფიქრობ.

ოჯახი პირველ რიგში საზოგადოებას მიმართავს და ვთხოვთ, თუ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია აქვთ, შეგვეხმიანონ შემდეგ ნომერზე: 577 08 05 48. რაც შეეხება სამართალდამცველებს, მეტი აქტიურობისკენ მოვუწოდებ. მე ჩემი ძალებით ვეძებ ჩემს ძმას და ასეც გავაგრძელებ.

„ახალი თაობა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც უწყებაში განმარტავენ, სამძებრო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. მათივე ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით, თვითმკვლელობამდე მიყვანით მიმდინარეობს.

ჯემალ ღამბაშიძე

ზვიად კუპრავა სუსში დაიბარეს

როგორ დახარჯა ხელისუფლებამ რესტორნებში 6 თვეში 4 მილიონი

სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიბარეს.

როგორც გაირკვა, სამართალდამცველები შაბათის კურიერში გასული სიუჟეტის თემით დაინტერესდნენ, სადაც თანხის არამიზნობრივ ხარჯვაზეა საუბარი.

საქმე ეხება 4 მილიონი ლარის გაფლანგვას, რომელიც, კუპრავას ინფორმაციით, სახელმწიფო უწყებებმა სარესტორნო მომსახურებისათვის დახარჯეს.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ მან თქვა, რომ გამომძიებლებს ახალი ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც კონკრეტული სამინისტროების მიერ 4 მილიონი ლარის გაფლანგვას ეხება.

– წარვადგინე მტკიცებულება, რომ 4 მილიონი ლარი მხოლოდ სასტუმროებსა და კვების ობიექტებზე დაიხარჯა სხვადასხვა სამინისტროების მიერ 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული საქმის მასალები თავის მტკიცებულებებით ჩავდეთ ჩემს სისხლის სამართლის საქმეში, სადაც მე სხვისი თეფშიდან ჭამას მედავებიან.

მტკიცებულების ჩადების დროს პროკურორს ვუთხარი, თუ მე მედავებით სხვისი თეფშიდან ჭამას, გამოიძიეთ, 4 მილიონი როგორ დახარჯა ხელისუფლებამ 6 თვეში-თქო. აღნიშნული საქმის მასალები პროკურატურას გადაუცია სუს-ის ანტიკორუფციული სამსახურისთვის, სადაც მე ვიყავი ახლა. სწორედ ამ საკითხზე ვიყავი დაბარებული, თუ რა ინფორმაციას ვფლობდი. მე მათ ვუთხარი, რომ აღნიშნული საქმის მასალები უფრო დეტალურად აქვს ლევან ხაბეიშვილს და „შეაჩერე კორუფციას“, – განაცხადა კუპრავამ.

როგორც ჩანს, სუსმა კუპრავას რეკომენდაცია გაითვალისწინა და გუშინ საღამოს ლევან ხაბეიშვილი გამოკითხვაზე დაიბარა.

ხაბეიშვილი სუსში დღეს 2 საათისთვის უნდა მივიდეს.

კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელი ფარმან ჯეირანლი გლდანის მკაცრი ტიპის ციხეში გადაიყვანეს

კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელი და ყოფილი დირექტორი ფარმან ჯეირანლი რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გლდანის ნომერ მერვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ფარმან ჯეირანლის ადვოკატების თქმით, მსჯავრდებული პირი ყოველგვარი დისციპლინური გადაცდომის გარეშე იხდიდა სასჯელს, შესაბამისად, მათთვის გაუგებარია, რატომ გადაიყვანეს უფრო მკაცრი ტიპის დაწესებულებაში.

ფარმან ჯეირანლის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ პროცესი პოლიტიკური ანგარიშსწორების გაგრძელებაა.

– იურისტებისთვის ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს.

ყველანაირი ნორმის დაცვის გარეშე, 15 აგვისტოს, რუსთავის მე-16 დაწესებულებიდან გლდანის მე-8 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც ჩანს, ის კლასიკური პოლიტიკური დევნილია, – განაცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა გია ტაბლიაშვილმა.

ფარმან ჯეირანლის კიდევ ერთი ადვოკატის, გელა ნიკოლაიშვილის, ინფორმაციით, მსჯავრდებული ბოლომდე აპირებს სამართლებრივ ბრძოლას.

ამასთან, ადვოკატების თქმით, ფარმან ჯეირანლის აზერბაიჯანში ექსტრადირების პროცედურებს არ ელოდებიან, რადგანაც მსჯავრდებულს ორმაგი მოქალაქეობა გააჩნია, ასევე, ფაქტი, რის გამოც ის სასჯელს იხდის, საქართველოში არის მომხდარი.

კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორი ფარმან ჯეირანლი 2017 წლის 22 მაისს დააკავეს. მას გამოძიება პაციენტებისთვის დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებასა და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვას ედავებოდა. ჯეირანლი წარდგენილი ორი მუხლიდან ერთში, თაღლითობის ბრალდებაში (სსკ-ის 180-ე მუხლი) ცნეს დამნაშავედ.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებას, რაც სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვას ან გაყალბებას გულისხმობს, მოსამართლემ ბრალდებული აღნიშნულ ეპიზოდში გაამართლა.

ფარმან ჯეირანლის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. მის საქმეს ამ ეტაპზე სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

სამეგრელოს პლანტაციაში თხილის სასწორმა მამაკაცი მოკლა

უბედური შემთხვევა მოხდა სამეგრელოში. კომპანია „აგრო ჯორჯიას“ თხილის პლანტაციებში შუახნის მამაკაცი დაიღუპა, მას თხილის სასწორი დაეჯახა.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი იტყობინება, გარდაცვლილის ცხედარი ქუთაისში ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო.

ბათუმში ავტობუსი სატვირთოს დაეჯახა, 9 ადამიანი დაშავდა

ბათუმში აეროპორტის გზატკეცილზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად 9 ადამიანი დაშავდა.

ავარია გუშინ, 22 აგვისტოს, დილის 8 საათზე მოხდა. ერთმანეთს მუნიციპალური ავტობუსი და სატვირთო მანქანა შეეჯახნენ.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა დაშავებულები შემთხვევის ადგილიდან საავადმყოფოებში გადაიყვანა. ექიმების ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა შედარებით მძიმეა, დანარჩენებს კი ძირითადად დაჟეჟილობები აღენიშნებათ.

დაშავებულები აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა, ზაალ მიქელაძემ მოინახულა.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულთაგან ერთმა კლინიკა უკვე დატოვა. სხვა პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დაშავებულთა შორის ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ადვოკატი კეკენაძე: „შსს და პროკურატურა გიორგი ჭანტურიას ოჯახს პირადი მასალებით აშანტაჟებენ“

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებული გიორგი ჭანტურიას ოჯახი სახელმწიფო უწყებებს შანტაჟში ადანაშაულებს.

ადვოკატის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლები ჭანტურიების ოჯახსა და მათ გარემოცვას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელებით ემუქრებიან, სანაცვლოდ კი მათგან ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენებების მიცემას ითხოვენ. უფლებადამცველის თქმით, ამასთან დაკავშირებით მათ უკვე მიმართეს სხვადასხვა უწყებებს და სახალხო დამცველს, თუმცა, უშედეგოდ.

– ყოველგვარ ზღვარს არის გადასული შს სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა, ვინაიდან ისინი მანიპულირებენ და აშანტაჟებენ მოწმეებს და პირებს, რომლებიც გარკვეულ შემხებლობაში არიან აღნიშნულ საქმესთან. თუკი ისინი არ მისცემენ გიორგი ჭანტურიას საწინააღმდეგო ჩვენებებს, ასეთ შემთხვევაში, მათ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებისა და ჩანაწერების გავრცელებით ემუქრებიან, – ამბობს ჭანტურიას ადვოკატი, ანა კეკენაძე.

კასრში იარაღის შენახვისთვის თურქ ქალს 5 წელი მიესაჯა

მოსამართლე ლევან გელოვანმა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ფემბე ოზლემ ოლგუნს „კასრში იარაღის აღმოჩენის საქმეზე“.

– ჩემ წინააღმდეგ არსებობს მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო მტკიცებულებები. მაგალითად, ბინის ჩხრეკა დაიწყო 13:45 საათზე, პოლიციელმა კი პროცესზე თქვა, რომ ოპერატიული ინფორმაცია იმ დღეს, 14:30 საათზე მიიღეს. გთხოვთ, ნუ დამაკარგვინებთ სამართლის მიმართ ნდობას,“ – აღნიშნა ფემბე ოლგუნმა საბოლოო სიტყვაში.

– ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას, – უთხრა ადვოკატმა ლევან მამულაძემ „ბათუმელებს“ პროცესის დასრულების შემდეგ.

ქობულეთში, სოფელ კვირიკეში, მდინარის პირას ჩამარხულ კასრში საბრძოლო მასალა გასული წლის 25 ნოემბერს აღმოაჩინეს. იმავე დღეს სამართალდამცველებმა თურქეთის მოქალაქე ფემბე ოზლემ ოლგუნი დააკავეს.

პროკურატურის ვერსიით, ბრალდებული ცეცხლსასროლ იარაღს – ხელყუმბარას, კალაშნიკოვის ავტომატს და 115 ვაზნას ქობულეთსა და ბათუმში საცხოვრებელ ბინებშიც ინახავდა.

დაკავებულმა ბრალი არ აღიარა. პროკურატურას ამ საქმეზე სხვა არავინ დაუკავებია.

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე „ბათუმელებს“ ფემბე ოზლემ ოლგუნის მამამ უთხრა, რომ ბრალდებული სოციალისტია და საქართველოში წამოვიდა, როცა თურქეთში არეულობა დაიწყო.

2018, 23 აგვისტო, №199

ტრამპის ყოფილმა ადვოკატმა დანაშაული აღიარა

ტრამპის ყოფილმა ადვოკატმა მაიკ კოენმა დანაშაული აღიარა. მას ბრალად ედებოდა ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა. კოენი კარგა ხანს დანაშაულს უარყოფდა. მტკიცე სამხილის წინაშე მან ყველაფერი აღიარა და გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყო.

კვიპროსის ხელისუფლებამ რუსი მილიარდერების ანგარიშები დაბლოკა

კვიპროსის ხელისუფლებამ რუსი მილიარდერების დერიპასკასა და ვაქსელბერგის ანგარიშები დაბლოკა.

მიზეზი გახლდათ ის, რომ ორივე რუსი ამერიკელების მიერ მომზადებული სანქციების სიაში მოხვდა.

ამერიკელებმა 95 წლის სამხედრო დამნაშავე გერმანიას გადასცეს



აშშ-ის მთავრობამ 95 წლის იაკობ პალიი გერმანიას გადასცა.

ომის დროს პალიი ტრავნიკის საკონცენტრაციო ბანაკში მცველად მუშაობდა, 1949 წლიდან კი აშშ-ში ცხოვრობს.

პალიის გერმანიაში მოხუცებულთა თავშესაფარში მოათავსებენ. სავარაუდოდ, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებსაც იქ გაატარებს.

სენატორი მიტჩელი: „რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრება აუცილებელია!“

აშშ-ის სენატის ორივე პალატაში იმ კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს, რომელიც რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს.

სენატორი მიტჩელი თვლის, რომ სანქციების გამკაცრება აუცილებელია.

– თუ გვინდა, რომ რუსეთი ამერიკულ არჩევნებში აღარ ჩაერიოს, სანქციები უნდა გავამკაცროთ! – თქვა სენატორმა.

ბერლინში, ტერაქტის მომზადების ბრალდებით, რუსეთის მოქალაქე დააკავეს

ბერლინში, ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით ტერაქტის მომზადების ბრალდებით, რუსეთის მოქალაქე მაგომედ-ალი ს. დააკავეს.

ამის შესახებ გერმანიის გენერალური პროკურატურა იუწყება.

„2018 წლის 9 აგვისტოს გაცემული ორდერის საფუძველზე, გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის 31 წლის მოქალაქის დაკავების განკარგულება გასცა. დაკავება ფედერალური სისხლის სამართლის პოლიციისა და ბერლინის სისხლის სამართლის პოლიციის სპეციალურმა ქვედანაყოფმა განახორციელა. ეჭვმიტანილის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა. მას ბრალად სახელმწიფოს წინააღმდეგ მძიმე დანაშაულის მომზადება და ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით დანაშაულის მომზადება ედება“, – ნათქვამია გენერალური პროკურატურის განცხადებაში.

პოროშენკო: „უკრაინის არმიას რუსი აგრესორის შეჩერება შეუძლია“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია.

– უკრაინას უკვე ჰყავს არმია, რომელსაც რუსი აგრესორის შეჩერება ძალუძს! ამიტომ დონბასში არა მხოლოდ ფრონტის ხაზი დასტაბილურდა! ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. იქმნება სიტუაცია, როცა რუსეთი დონბასიდან უნდა წაეთრიოს! – განაცხადა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ თქვა, რომ აზოვის ზღვაზე უკრაინული სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერების ბრძანება გასცა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სამშობლოს დაცვისთვის ყველაფერი გაკეთდება.

აშშ-ში 6,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

აშშ-ში, ორეგონის შტატის სანაპიროს მახლობლად 6,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ამის შესახებ აშშ-ის გეოლოგიური სამსახური იუწყება.

მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით 9:31 საათზე დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ბანდონიდან დასავლეთით, 294 კილომეტრში, მიწისძვრის კერა კი 12 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

შესაძლო მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მოხუცმა ქალმა ბაღში მეტეორიტი იპოვა

მოხუცმა ფრანგმა ქალბატონმა საკუთარ ბაღში სამკილოგრამიანი მეტეორიტი იპოვნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

კლოდინ გერმანმა, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე პატარა ქალაქ ბეგოში ცხოვრობს, საკუთარ ეზოში უცნაური ქვა აღმოაჩინა. 76 წლის მოხუცი მას იმ დროს გადააწყდა, როდესაც გაზონს მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებით დამუშავების შემდეგ ათვალიერებდა.

– ქვა პატარა გაზონზე შევნიშნე, მის ქვეშ პატარა ორმო იყო წარმოქმნილი. საკუთარ თავს ვუთხარი: „ეს რას ჰგავს, შუა გაზონზე ქვა აგდია?“ ამიტომ ის ავიღე და მეუღლეს წავუღე საჩვენებლად, – განაცხადა ქალმა.

გერმანის თქმით, მუქი-ნაცრისფერი მეტეორიტი დაახლოებით ქოქოსის ზომის იყო, სამ კილოგრამს იწონიდა და პრაქტიკულად სრულიად გლუვი ზედაპირი ჰქონდა. მისმა მეუღლემ 80 წლის კლოდმა, ბიოქიმიის ყოფილმა პროფესორმა, ყურადღებით დაათვალიერა და შეისწავლა ნაპოვნი ქვა.

– როდესაც ის ხელში ავიღე, მივხვდი, რომ ის ანომალიურად მძიმე იყო. ის მე სააფთიაქო სასწორზე ავწონე. ამასთან, მის შემადგენლობაში დიდი ოდენობით რკინისა და თუთიის შემცველობის გამო, მას ძლიერი მაგნიტური ველი ჰქონდა, – აღნიშნა კლოდმა. როდესაც მან მეტეორიტთან კომპასი მიიტანა, მისი ისარი სწრაფად დატრიალდა, შემდეგ კი დაიმტვრა.

ასტრონომიული კლუბის პრეზიდენტის პიერ გაკომენის თქმით, გერმანების წყვილმა შესაძლოა აღნიშნულ მეტეორიტში ათასამდე ევრო მიიღონ. ასეთი მეტეორიტის აღმოჩენის შანსი 180 მილიონში ერთია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ეკატერინე გორგოძის საოცარი ქამბექი

ამერიკის ღია პირველობაზე საქართველო 2 ჩოგბურთელით იქნება წარდგენილი. მამაკაცებში ნიკოლოზ ბასილაშვილი ძირითად ბადეში იასპარეზებს, ხოლო ქალთა შორის ეკატერინე გორგოძემ ამერიკული ვოიაჟი საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო და წარმატებითაც.

ქართველი ჩოგბურთელი ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის ნახევარფინალში გავიდა.

აღსანიშნავია, რომ გორგოძემ ისეთი მატჩი მოიგო, რომელსაც ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ჩვენებური 16 წლის ამერიკელ ქეით მაკნილთან 0:6, 1:5 მარცხდებოდა, რის შემდეგაც სასწაული მოახდინა, ზედიზედ 6 გეიმი აიღო და მეორე პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მესამე სეტში კი უპირატესობა უკვე ჩვენებურის მხარეს იყო და მან 6:2 იმარჯვა. საბოლოოდ, 0:6, 7:5, 6:2 ქართველის სასარგებლოდ.

ქართველი კვალიფიკაციის ნახევარფინალში კანადელ ეჟენი ბუშარს დაუპირისპირდება, რომელიც მსოფლიო რეიტინგის ყოფილი მე-5 ნომერია. მან თანამემამულე კაროლ ჟაოს 2 სეტში – 6:0, 6:1 მოუგო.

ბასილაშვილი საკვალიფიკაციოდან თავისუფალია და ბედი უინსტონ-სალემის ტურნირზე სცადა, სადაც მეთექვსმეტედფინალში იტალიელ მატეო ბერეტინისთან 2 სეტში – 5:7, 3:6 დამარცხდა.

ახლა ჩვენებური ამერიკის ღია პირველობაზე გადაერთვება, რომლის ძირითადი ბადის შეხვედრები 27 აგვისტოდან დაიწყება.

ტორპედო-ლუდოგორეცი – ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯია

ევროტურნირებს ერთადერთი ქართული კლუბი, ქუთაისის ტორპედო შემორჩა.

ტორპედომ ევროპული სვლა ჩემპიონთა ლიგიდან დაიწყო, სადაც მოლდოვურ შერიფთან ორი მატჩის ჯამში (2:1, 0:3) დამარცხდა. უეფას ახალი ფორმატით, რიონისპირელებმა ევროპა ლიგაზე გადაინაცვლეს, სადაც ჯერ ფარერული ვიკინგური (3:0, 4:0) დაამარცხეს, შემდეგ კი ალბანურ კუკესს (5:2, 0:2) სძლიეს.

ახლა ტორპედო უკვე ევროპა ლიგის პლეი-ოფშია, სადაც მეტოქედ ბულგარული გრანდი, რაზგრადის ლუდოგორეცი ერგო.

პირველი შეხვედრა თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეს გაიმართება, საპასუხო დაპირისპირება კი 30 აგვისტოს რაზგრადში შედგება.

ტორპედო მონდომებით ემზადება ამ მატჩისთვის. ეს გასაკვირიც არ არის – ჯგუფური ეტაპი ერთი ხელის გაწვდენაზეა. ამას ფეხბურთელებიც გრძნობენ.

მილოშ ლაჩნი:

– მთელი ქვეყანა გვერდით გვიდგას. ეროვნული ლიგის რამდენიმე ტურიც კი გადაგვიდეს იმისთვის, რომ მხოლოდ ევროპა ლიგაზე ვიყოთ კონცენტრირებულნი. საქართველოში ყველა მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას. ქართველი ხალხი გვეუბნება, რომ ქვეყნის იმედი ვართ და ძალიან უნდათ, მოვიგოთ. საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ.

მათე ცინცაძე:

– ბოლო ეტაპია და ორმაგად მოტივირებულნი ვართ. ვიცით, რომ ლუდოგორეცი ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ მონდომებით ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია.

ტორპედოს სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები და გულშემატკივრები პოზიტიურ განწყობაზე არიან, მაგრამ მოდით, ვნახოთ ვინ არის რიონისპირული გუნდის მეტოქე.

დღევანდელი ლუდოგორეცი 2001 წელს დაარსდა ალექსანდრ ალექსანდროვის და ვლადიმირ დიმიტროვის მიერ. თავიდან კლუბს რაზგრადი 2000 უწოდეს. თუმცა, კლუბი დაარსების თარიღად 1945 წელს ასახელებს, როდესაც 5 გუნდის გაერთიანებით ლუდოგორეცი ჩამოყალიბდა. გუნდი თავდაპირველად, დაბალ დივიზიონებში გამოდიოდა, მაშინდელი კლუბის მაქსიმუმი მეორე დივიზონი იყო, ბოლოს წარუმატებლობის შედეგად დაიშალა კიდეც და 2001 წელს თავიდან შეიქმნა.

გუნდს დიდი მიღწევები არც ამის შემდეგ ჰქონია, სანამ 2010 წელს, ბულგარელმა ბიზნესმენმა, კირილ დომუსჩიევმა არ შეიძინა. ლუდოგორეცი ქვედა ლიგიდან ყოველწლიურად წინაურდებოდა და 2011-12 წლებში კლუბმა ყველა ბულგარული ტიტული მოიგო.

წინა სეზონში სოფიას ცსკა-ს კონკურენციის მიუხედავად, ლუდოგორეცმა მაინც შეძლო ჩემპიონატის მოგება და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა გაინაღდა.

პირველ ეტაპზე ბულგარელებს ჩრდილოეთ ირლანდიური კლუბი კრუსაიდერი ერგო, რომელიც ორი შეხვედრის ჯამში 9:0 გაანადგურეს. მეორე ეტაპზე მათი მეტოქე უნგრული ვიდეოტონი იყო, რომელსაც შინ ფრე 0:0 ეთამაშეს და სტუმრად 0:1 დამარცხდნენ. შესაბამისად, კლუბი ევროპა ლიგის საკვალიფიკაციოს მესამე ეტაპზე გადაერთო.

ევროპა ლიგის საკვალიფიკაციოს მესამე ეტაპზე კლუბის მეტოქე ბოსნია ჰერცეგოვინიას ზრინსკი იყო, რომელიც შინ 1:0 დაამარცხეს და გასვლაზე ფრე 1:1 ითამაშეს.

კლუბმა მიმდინარე ჩემპიონატი აქტიურად ვერ დაიწყო, 3 მოგება, თითო ფრე და წაგება. 5 ტურის შემდეგ 10 ქულა აქვთ და მე-3 ადგილზე არიან. ტორპედოსთან შეხვედრამდე კი მთავარ კონკურენტ სოფიას ცსკა-ს 1:0 მოუგეს.

კლუბი ბულგარეთის პატარა ქალაქ რაზგრადში თამაშობს, რომლის მოსახლეობა 33.416 ადამიანს შეადგენს. სტადიონი სახელად „ლუდოგორეც არენა“ 11.000-იანი ტევადობისაა.

ტრანსფერმარკეტის მიხედვით კლუბის ფეხბურთელების სატრანსფერო ღირებულება 50.55 მილიონ ევროს შეადგენს, როცა საპირისპიროდ ქუთაისური კლუბის ღირებულება 5.33 მილიონი ევროა. ბულგარული კლუბის ფასი 10-ჯერ მეტია...

კლუბში 17 ლეგიონერია და ამავდროულად ლუდოგორეცში 9 ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც ნაკრებშიც იძახებენ.

წინა სეზონში კლუბის მთავარი ბომბარდირი რუმინელი კლაუდიო კეშერუ იყო, რომელმაც 26 გოლის გატანა მოახერხა. მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე მის ანგარიშზე 8 შეხვედრაში 3 გოლია.

ტორპედოს შანსები საკმაოდ მცირეა, თუ აქამდე არსებული მეტოქეები მათ გარკვეულ შეცდომებს პატიობდნენ, ლუდოგორეცი ამას სათავისოდ გამოიყენებს.

შედეგები

21 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბატე-პსვ	2:3
ბენფიკა-პაოკი	1:1
ცრვენა ზვეზდა-ზალცბურგი	0:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

დერბი-იფსვიჩი	2:0
ქარ-ბრისტოლი	0:3
როტერჰემი-ჰალი	2:3
სუონსი-ლიდსი	2:2

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ლევანდოვსკი: „ბაიერნიდან წასვლაზე აღარ ვფიქრობ“

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ლეგიონერი რობერტ ლევანდოვსკი, ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში, იმ რთულ პერიოდს იხსენებს, როდესაც მისი მისამართით კრიტიკის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა.

30 წლის თავდამსხმელის განცხადებით, იგი ვერ გრძნობდა მიუნხენური კლუბისგან სათანადო მხარდაჭერას. სწორედ ამიტომ, „რეკორდმაისტერის“ რიგების დატოვებასაც გეგმავდა.

რობერტ ლევანდოვსკი:

– აპრილსა და მაისში თითქმის ყველა მაკრიტიკებდა. კლუბისგან დაცვას ვერ ვგრძნობდი, თავი მარტოსულად ვიგრძენი. მე ვერ გავიტანე 2-3 მნიშვნელოვან თამაშში გოლი და ამის შემდეგ ჩემ მიმართ კრიტიკის ქარცეცხლი წამოვიდა.

მე არც ერთი ავტორიტეტული პიროვნება არ მიცავდა. იმ პერიოდში მე ვერ ვნახე ვერავინ, ვინც საჭირო თანადგომას აღმომიჩენდა, კარლ-ჰაინც რუმენიგეს და ული ჰოინესის ჩათვლით. მაშინ ვიფიქრე, რომ ბაიერნში ჩემი თამაშის დრო დამთავრდა, რადგანაც ჩემ მიმართ ნდობა არავის გააჩნდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობდი წასვლას. ახლა სულ სხვა სიტუაციაა, ბავარიულ კლუბში თავს კარგად ვგრძნობ, გულშემატკივრები კვლავინდებურად მხარს მიჭერენ და ჩემი ხილვა სურთ ძირითად გუნდში. ამიტომაც მე არ მაქვს არანაირი მიზეზი იმისა, რომ კლუბის დატოვებაზე ვიფიქრო.

რატომ არ უშვებენ მერკელის დელეგაციის წევრს აზერბაიჯანში?

ევროკავშირი აშშ-სგან დამოუკიდებელ საგადასახადო არხებს ქმნის

მარიამ მჭედლიშვილი

დღეს, 23 აგვისტოს, იწყება გერმანიის ფედერალური კანცლერის, ანგელა მერკელის კავკასიური ტურნე.

ექსპერტების ჯგუფმა ეს ტურნე შეაფასა, როგორც ევროკავშირის მხრიდან აშშ-ისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის ნაწილად.

ევროკავშირი რომ იძულებულია, ვაშინგტონს გარკვეულ საკითხებში გაემიჯნოს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ხაიკო მაასის განცხადებებიც მეტყველებს. იგი აღნიშნავს, რომ გასაძლიერებელია ევროკავშირის ავტონომია ამერიკასთან მიმართებით. ამ მიზნით ევროკავშირმა უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი, აშშ-სგან დამოუკიდებელი საგადასახადო არხები. მათ შორის, სავალუტო ფონდი.

ავტონომიურობის ერთ-ერთ მაგალითად გერმანიის ფედერაციის მინისტრმა მოიყვანა ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმება, საიდანაც გამოვიდა აშშ. ვაშინგტონმა იმავდროულად აღადგინა სანქციები თეირანის წინააღმდეგ.

ევროპული სახელმწიფოები შეთანხმებიდან არ გამოსულან. ევროპულმა კომპანიებმა, მართალია, სანქციების განახლების შემდეგ დატოვეს ირანი, მაგრამ ევროკავშირი და ევროკომისია მათ მოუწოდებენ, არ დატოვონ ირანი.

კავკასიურ ტურნეს წინ უსწრებდა ანგელა მერკელის დაუგეგმავი პირისპირ შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან.

ამ დახურულ დიალოგამდე იყო პროგნოზები იმაზე, რომ მერკელი და პუტინი სხვადასხვა საკითხზე გარიგდებოდნენ, კანცლერი კი თვალს დახუჭავდა კრემლის გავლენის სფეროებზე.

დასავლური მედია ამ შეხვედრის შემდეგ ფაქტობრივად თანხმდება, რომ პუტინი აგრძელებს ბრძოლას ევროკავშირის, ევროპელი ლიბერალების, პირველ რიგში კი, ანგელა მერკელის წინააღმდეგ, მათ შორის გარიგებაზე მინიშნებები არ კეთდება.

„გარდიანის“ შეფასებით, პუტინი ევროპული ლიბერალური დემოკრატიისა და ანგელა მერკელის წინააღმდეგ ავსტრიაში გამოვიდა. იგი იქ დაესწრო ავსტრიის საგარეო მინისტრის კარინ კნაისლის ქორწილს. მისი ცეკვა კნაისლთან, ჟესტები და სიტყვები სავსე იყო სიმბოლიკით.

გამოცემის აზრით, პუტინმა ავსტრიაში დარტყმა მიაყენა ევროპულ ფასეულობებს და ევროპის არქიტექტურას. მან მსოფლიოს მიანიშნა, რომ ევროპასთან ცეკვა უნდა. თუმცა, პუტინის რუსეთი არ აპირებს თანამშრომლობას ლიბერალური დემოკრატიის წარმომადგენლებთან. იგი ევროპაში მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების მხარდამჭერია. პუტინის სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ევროპაში ყველგან იყვნენ ულტრაკონსერვატორული, ქრისტიანული, ანტისაიმიგრაციო არალიბერალური პოლიტიკური ძალები.

კარინ კნაისლი ულტრამემარჯვენეების წარმომადგენელია. პუტინის ყოფნას ავსტრიაში თან ახლდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის აჩრდილი. ასეთი შეგრძნება ჩნდება იმის გამო, რომ ავსტრიის ულტრამემარჯვენეებს გაფორმებული აქვთ შეთანხმება კრემლის პარტია „ედინაია როსიასთან“.

„გარდიანის“ სიტყვებით, პუტინს შუაგულ ევროპაში, ავსტრიელი მოკავშირეების სახით ჰყავს ტროას ცხენი.

ევროპასთან დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, შვეიცარიული წყაროების თანახმად, პუტინი ევროკავშირს ფულს სთხოვს. თანხები სირიის აღდგენას უნდა მოხმარდეს. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სირია რუსეთსა და აშშ-ს უნდა აღედგინათ.

რუსეთს დღეს ფული თავისთვისაც არ ყოფნის. ამის გამო პუტინი ევროპას მიმართავს. იგი ევროპელ ლიდერებს იმით აინტერესებს, რომ სირიის აღდგენას მოჰყვება მიგრაციული კრიზისის გადაწყვეტა – ლტოლვილები დაბრუნდებიან და ევროპას ახალი დევნილების შემოსევა არ დაემუქრება.

კავკასიაში ანგელა მერკელს სხვა საკითხების განხილვა მოუწევს.

მისი თანმხლები დელეგაციის წევრი, ბუნდესტაგის დეპუტატი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან ალბერტ ვაისლერი კავკასიაში გამომგზავრების წინ სკანდალში გაეხვია. მას აზერბაიჯანმა ქვეყანაში შეშვებაზე უარი უთხრა იმის გამო, რომ 2014-2016 წლებში მთიან ყარაბაღს სტუმრობდა.

ჰინცი: „აშშ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე, საქართველომ საკუთარი ძალა უნდა გამოაჩინოს“

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განსაკუთრებით დაიძაბა. ურთიერთობის გაფუჭებამ პირდაპირი გავლენა იქონია თურქეთის ეკონომიკაზე. უარყოფით ეკონომიკურ გავლენასთან ერთად, ამერიკა-თურქეთს შორის დაძაბულობა, საქართველოს რთულ პოლიტიკურ მდგომარეობასაც უქმნის. როგორ შეიძლება ნატოს ორ მოკავშირეს შორის კრიზისის დაძლევა და რა როლი შეიძლება ითამაშოს ამ დინამიკაში საქართველომ? ამ თემებზე „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ლიზელ ჰაიცს, ჯონს ჯოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორს ესაუბრა.

– ლიზელ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ამერიკა-თურქეთის ურთიერთობაში საკმაოდ უჩვეულო ვითარებაა. მოკლედ რომ გვითხრათ, რა ხდება?

– მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ დღევანდელი სიტუაცია უპრეცედენტოა. ამერიკას და თურქეთს – მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნატოს ალიანსის წევრია – არაერთი სერიოზული უთანხმოება ჰქონიათ წარსულში. მაგალითად, 1974 წელს თურქეთის შეჭრა კვიპროსში, 2003 წელს თურქეთის მიერ ამერიკისთვის დახმარების გაწევაზე უარის თქმა ერაყის ომის დროს. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, უპრეცედენტოა – ნატოს მოკავშირეების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება, სავაჭრო ომი და მკაცრი რიტორიკა.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე კრიზისი, სინამდვილეში, ამერიკელი მღვდლის დაკავებას პირდაპირ არ უკავშირდება. თურქეთის ეკონომიკა უკვე დიდი ხანია პრობლემებს განიცდის. სწორედ ამიტომაც გადმოიტანა პრეზიდენტმა ერდოღანმა არჩევნები 2019 წლის ნოემბრიდან წელიწადნახევრით ადრე. მას უნდა კრიზისს გაექცეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიზისი გადალახულია. ანუ, ქვეყანაში არის ეკონომიკური კრიზისი, შეიქმნა პოლიტიკური პრობლემა, რომელიც ერდოღანის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების ისეთმა კონსოლიდაციამ გამოიწვია, რომ თურქეთისთვის დემოკრატიის დარქმევა უკვე რთულია. ამ ყველაფერს ზედ ერთვის ორი ლიდერის მხრიდან სიტუაციის განმუხტვის სურვილის არქონა.

– ანუ, იმას ამბობთ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი პრეზიდენტ ტრამპს თურქეთში ნაციონალისტური განწყობების გასაღვივებლად იყენებს?

– დიახ, მას ამაში დიდი გამოცდილება აქვს და თან კარგად გამოსდის. ამის კარგი მაგალითი 2013 წელს თურქეთში გარემოს დაცვის აქტივისტების მიერ დაწყებული დემონსტრაცია იყო, რომელიც მოგვიანებით ერდოღანის წინააღმდეგ ეროვნულ პროტესტში გადაიზარდა. იმის ნაცვლად, რომ ერდოღანს მაშინ ხალხის წუხილისთვის მოესმინა, მან დემონსტრაციების მოწყობაში უცხოური ძალები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ებრაული ლობი დაადანაშაულა. საბოლოო ჯამში კი, ყველაფერში ამერიკა დაადანაშაულა და ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ შეერთებულ შტატებს რეგიონში ძლიერი მუსლიმური სახელმწიფოს არსებობა არ სურს.

ახლა კი ის ხდება, რომ ტრამპი თავისი „ტვიტერის“ გზავნილებით და რიტორიკით, ერდოღანის ამ განცხადებებს უნებლიედ ადასტურებს და მას იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ ამერიკას თურქეთისთვის ზიანის მიყენება სურს.

– ეს ძალიან წააგავს პრეზიდენტ პუტინის თამაშის წესებს.

– ეს ძალიან საინტერესოა. ავტორიტარულ ლიდერებს რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვთ. ისინი მედიის გარიყვას ცდილობენ – რასაც, სხვათა შორის, პრეზიდენტი ტრამპიც აკეთებს, ახდენენ ოპოზიციის დისკრედიტაციას და შიდა პრობლემებს გარე ძალებს აბრალებენ.

– თქვენი აზრით, რა არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქეთმა რუსეთისგან ეს-400 სარაკეტო სისტემის ყიდვა გადაწყვიტა და სირიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი უთანხმოებები აქვს ნატოს მოკავშირეებთან.

– საქართველო ფრთხილად უნდა დააკვირდეს თურქეთის მოქმედებებს, მაგრამ არ მგონია ეს სამუდამო ცვლილება იყოს. რუსეთს და თურქეთს არაერთი შეუთავსებელი უთანხმოება აქვთ – მათ შორისაა, მთიანი ყარაბაღიც, სადაც რუსეთი სომხეთს უმაგრებს მხარს, თურქეთი კი აზერბაიჯანს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. გულენის ექსტრადიცია ან მოძღვარი ბრენსონის გათავისუფლება უფრო ზედაპირული საკითხებია. მთავარი, ჩემი აზრით, სწორედ ეს-400-ების [შ-400 ტიპის სარაკეტო სისტემა] თემაა, რომლის ყიდვასაც თურქეთი რუსეთისგან გეგმავს. ეს იარაღი ნატოს სისტემასთან შეუთავსებელია და რუსეთს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მისცემს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თურქეთში უახლესი ამერიკული გამანადგურებელი ეფ-35 [-35] ტიპის თვითმფრინავები იქნება განლაგებული.

კრიზისიდან გამოსასვლელად ორივე ლიდერმა ღრმად უნდა ჩაისუნთქოს. ამერიკის მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ პრეზიდენტ ტრამპს დაანახოს, რომ მისი საქციელით ის მდგომარეობას მხოლოდ ართულებს. ტრამპის „ტვიტების“ შედეგად ინვესტორები ფრთხებიან, რაც ლირაზე პირდაპირ მოქმედებს.

ერდოღანს სურს ამერიკას დაანახოს, რომ მშვიდი და კულისებში წარმოებული დიპლომატია ურჩევნია. სამართლიანები თუ ვიქნებით, ამერიკამ ეს ბევრჯერ სცადა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც აქ ვართ.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე დასკვნა რომ გავაკეთოთ, საბოლოო ჯამში, ვითარების განმუხტვა მაინც პრეზიდენტების, ამ ორი ინდივიდის ხასიათზეა დამოკიდებული? როგორც თქვენ აღნიშნეთ, ორივე ქვეყნის დიპლომატიური და სხვა სამთავრობო სისტემები კრიზისის დაძლევას ცდილობენ.

– არ მინდა ლიდერების პერსონალურ მახასიათებლებს, გამოცდილებას და ხასიათს დიდი ყურადღება მივაქციო, მაგრამ ვფიქრობ, ეს ფაქტორი არსებობს – განსაკუთრებით ტრამპის შემთხვევაში.

– ამ ვითარებაში საქართველო რთულ სიტუაციაშია. თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია. ანკარა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანების დიდი მხარდამჭერია. მეორე მხრივ, ამერიკა საქართველოს უახლოესი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია. ანუ, საქართველო ძალიან რთულ მდგომარეობაშია ამ ორი მოკავშირის ერთმანეთთან დაპირისპირების გამო. რა შეიძლება გააკეთოს ამ პატარა ქვეყანამ ამ სიტუაციაში?

– საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა. დასავლეთი და განსაკუთრებით ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს რეგიონში დემოკრატიის პოსტ-საბჭოთა შუქურად აღიქვამდა. იგივე შეხედულება არსებობდა თურქეთზეც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, როცა თურქეთი სამაგალითო მუსლიმური დემოკრატია და ეკონომიკა იყო.

ეს იდეალური დროა იმისთვის, რომ საქართველომ საკუთარი თავი უფრო რელევანტური გახადოს და ყველას დაანახოს, რომ საქართველოს ხმას ძალა აქვს და რომ მას ყურადღება უნდა მიაქციონ.

საქართველოსთვის, ვფიქრობ, ყველაზე დიდი საფიქრალი დღეს ის არის, რომ თურქეთი რუსეთისკენ ბოლომდე არ გადაიხაროს. დასავლეთთან დაპირისპირება, ვფიქრობ, დროებითია და ის ნატოს მოკავშირეებთან ღირებულებებში განსხვავებებს არ უკავშირდება. თურქეთი ცდილობს ალიანსს დაანახოს, რომ ის დამოუკიდებელი მოთამაშეა, რომელიც არ არის იმით შეზღუდული, თუ რა სურს მისგან დასავლეთს. თურქეთს ნატოში დარჩენა სურს და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შავი ზღვაა. თურქეთი ისტორიულად დიდი სიფრთხილით აკვირდება შავ ზღვაში რუსეთის გაძლიერებას და ახლა, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა.

საქართველო ფრთხილად უნდა დააკვირდეს თურქეთის მოქმედებებს, მაგრამ არა მგონია ეს სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

23 აგვისტოსთვის

ᲪᲕᲠᲫᲘ – სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ᲯᲘᲠᲝ** – ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **ᲭᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – კეთილისმყოფელი და მშვიდი გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **ᲚᲝᲛᲘ** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღება არ მიაქციოთ. შესაძლოა, ძველი კავშირები აღადგინოთ. **ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **ᲚᲐᲠᲬᲝᲠᲘ** – შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲐᲚᲘ** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘ** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ᲗᲔᲯᲬᲖᲔᲑᲘ** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

გისუჰვებთ ბედნიეჩ დღეს!

ᲯᲩᲝᲡᲕᲝᲩᲘᲓᲘ Ბ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ძალიან იშვიათი ნივთი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი ფირმა; 4. ლეშის მჭამელი აფრიკული ცხოველი; 5. თეთრეულის ტანსაცმლის კარადა; 8. თვალის რქოვანი გარსის ანთება; 12. ხის ქოშები; 13. სამეცნიერო დაწესებულება; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი მასწავლებელი; 11. კოსმოსდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი სპეციალური რეზერვუარი; 17. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 19. ესპანელი ფერმწერი; 21. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 29. ოდესის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. „სქური“; 2. ისინდი; 4. რუბენსი; 5. რინერი; 6. სერფინგი; 7. კამპრადი; 10. ჯილდა; 12. ოკარინა; 13. „მაესტრო“; 16. ფინიკი; 17. სკუტერი; 18. „დავითი“; 19. მუთაქა; 21. დიეტა.

თარაზულად: 3. ექსპრესი; 8. ჩედერი; 9. „ბონბონერა“; 11. ტრამპი; 12. ონიქსი; 14. გრანდი; 15. ანაკონდა; 20. „ნადური“; 22. ატაკამა; 23. სუვა; 24. „ვერდილიო“; 25. ხადა; 26. სურამი; 27. გარდა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჰარპუნი; 2. პარასოლი; 3. „იამაჰა“; 4. ისტრი; 5. ჰანიბალი; 8. კალაჰარი; 12. ლელო; 13. ფონეტიკა; 14. მდოგვი; 16. ლებარდე; 18. ქარვა; 20. ტუბა.

თარაზულად: 6. „მალპენსა“; 7. არაბესკა; 8. „კოდაკი“; 9. ჯუნტა; 11. წყალბადი; 10. სოლოლაკი; 15. კოპერფილდი; 17. კორიფე; 19. ვიქტორინა; 21. ლიქიორი; 22. „ბაქშტაინი“; 23. კაბალიე.

ძუნწმა ჩინელმა შეყვარებულს ქურდობა დააბრალა და გისოსებს მიღმა აღმოჩნდა

ჩინელი მამაკაცი ერთ კვირას გისოსებს მიღმა გაატარებს თავისი ყოფილი მეგობარი გოგონასთვის ქურდობის ცრუ ბრალდების წაყენების გამო. გოგონამ მისგან ძვირფასი საჩუქრები მიიღო, თუმცა მასთან ურთიერთობის განახლებაზე უარი განაცხადა.

ინციდენტი ჩუენცზიანის პროვინციის ქალაქ ხანჩუოუში მოხდა. მამაკაცმა გვარად შიმ თავის ყოფილ შეყვარებულს ათი ათას იუანად ღირებული აიფონი და 70 ათასი იუანის ღირებულების სამაჯური გადასცა. მან გოგონას უთხრა, რომ ამ ნივთებს შერიგების ნიშნად ჩუქნიდა და სთხოვა, რომ მეგობრებად მაინც დარჩენილიყვნენ, თუ ადრინდელი ურთიერთობის განახლება არ სურდა. გოგონამ საჩუქრები მიიღო, მაგრამ ძველი ურთიერთობების აღდგენაზე უარი უთხრა.

მეორე დღეს განაწყენებული ში პოლიციის განყოფილებაში მივიდა და განაცხადა, რომ გოგონამ მას 80 ათასი იუანი მოპარა. მან პოლიციელებს სთხოვა, რომ მისთვის საჩუქრები დაებრუნებინათ. პოლიციელების მიერ დაკითხულმა გოგონამ განაცხადა, რომ აღნიშნულ ნივთებს საკუთრად მიიჩნევს. მან ასევე აღნიშნა, რომ ში და მისი მეგობარი მას ემუქრებოდნენ და ნივთების წართმევას ცდილობდნენ.

საბოლოოდ პოლიციამ გოგონა დაითანხმა საჩუქრები ყოფილი შეყვარებულისთვის დაებრუნებინა, ხოლო თავად ში ცრუ ბრალდებისთვის გაასამართლეს და ერთკვირიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ქალს მეორე კუდი მოაჭრეს

ამერიკელმა დერმატოლოგმა სანდრა ლიმ გოგონას ოპერაცია გაუკეთა და დუნდულებს შორის წარმონაქმნი, რომელიც კუდს წააგავდა, მოაშორა. ოპერაცია ექიმის სატელევიზიო რეალითი-შოუში იქნა ნაჩვენები.

22 წლის ტეილორმა ლის კუდის გამო ჩივლით მიმართა, რომელიც მას კუდუსუნის რაიონში გამოეზარდა. მისი განმარტებით, ის მას ბავშვობიდან ჰქონდა. ექიმები მიიჩნევდნენ, რომ ეს ლიპომა – კეთილთვისებიანი ცხიმოვანი სიმსივნე იყო. 2016 წელს ის მოკვეთეს, თუმცა ისევ წარმოიქმნა.

ექიმს უცნაურად მოეჩვენა, რომ ტეილორს ლიპომა დაბადებიდანვე ჰქონდა. ჩვეულებრივ მის წარმოქმნას დრო სჭირდება. გარდა ამისა, დერმატოლოგს არც ის მოსწონდა, რომ მოკვეთილი კუდი ისევ გამოიზარდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ცხიმოვანი დაგროვება ზურგის ტვინს ეხებოდა, ეს კი მის მთლიანად მოცილებას სახიფათოს ხდიდა, ამიტომ მან ტეილორს გამონაზარდის მხოლოდ შემცირება და მისთვის მისაღები ფორმის მიცემა შესთავაზა.

ოპერაციის შემდეგ გოგონამ განაცხადა, რომ შედეგით აღფრთოვანებულია, თუმცა შემდგომში ნეიროქირურგთან კონსულტაციის გავლას აპირებს, ლიპომის დანარჩენი ნაწილის მოშორების საკითხზე.

ბრიტანელი ხუთი წელი თავს ცისფერსისხლიან მდიდარ მემკვიდრედ აცხადებს



ბრიტანეთის ქალაქ ბორნმუთში, დოსეტის საგრაფოში, განაჩენი გამოუტანეს თაღლითს, რომელიც წლების მანძილზე თავს მილიონერ არისტოკრატად ასაღებდა.

31 წლის ჯეიმს მეიკოკს 19 შემთხვევაში თაღლითობისა და სიცრუის ბრალდება წაუყენეს, ამასთან ხუთში მან თავი დამნაშავედ ცნო. მას ორი წლით პირობითი პატიმრობა და 150 საათი ანაზღაურების გარეშე საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება მიუსაჯეს. გარდა ამისა, მას მოუწევს აზროვნების ჩვევების კურსებზე ჩაეწეროს. ამ პირობების დარღვევა ნახევარწლიანი პატიმრობით დაისჯება.

მეიკოკი ხუთი წლის მანძილზე თავის მეგობარ გოგონას და მის ახლო ნათესავებს არწმუნებდა, რომ მილიონი ფუტი სტერლინგის მემკვიდრეობა მიიღო. იმისთვის, რომ მასზე შთაბეჭდილება მოეხდინა, მან ლონდონში შვეულმფრენით ფრენა შეუკვეთა. ეს მას ცხრა ათასი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა, რომელიც არც გადაუხდია.

გოგონა მას პროფესიონალ პილოტად თვლიდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სინამდვილეში მას მხოლოდ ათსაათიანი საფრენოსნო კურსები ჰქონდა გავლილი, რაც 2,5 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს და არც ამის საფასური არ გადაუხდია.

2016 წელს მეიკოკი ავტოსახელოსნოში არაკვალიფიციურ მექანიკოსად მოეწყო, ნებართვის გარეშე კომპანიის ხარჯზე შეიძინა სათადარიგო ნაწილები, შემდეგ კი სამსახურიდან განთავისუფლდა. ამის შემდეგ მან გოგონას სახელზე დააარსა კომპანია ისე, რომ ის საქმის კურსში არც კი ჩაუყენებია და შეეცადა უპილოტო საფრენი აპარატი სესხით შეეძინა, რა დროსაც მან გამყიდველს განუცხადა, რომ მას საქმე ლორდთან ჰქონდა.

დათვის სტუმრობა ქალს თვალის დაკარგვად დაუჯდა

ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ გროტონის მცხოვრები ქალბატონი დათვზე, რომლის გამოც თვალი დაკარგა, გაბრაზებული არ არის.

დაახლოებით ერთი თვის წინ, 71 წლის ეიპრილ როჯერსი ხმაურმა გააღვიძა, რომელიც მისი სახლის სამზარეულოდან აღწევდა. ის ადგა, სამზარეულოში შევიდა და აღმოაჩინა, რომ მის სახლში დიდი შავი დათვი იმყოფებოდა, რომელმაც შიგნით ცუდად ჩაკეტილი კარიდან შეაღწია.

ქალი სკამზე ჩამოჯდა და შეეცადა პანიკაში არ ჩავარდნილიყო. ცხოველი მას გვერდით მიუჯდა. შემდეგ ქალს თათი სახეში ჩასცხო და წავიდა. მტაცებლის ბრჭყალებმა ქალს ღრმა ნაჭრილობევი მიაყენეს ლოყასა და თავის ქალაზე. ამის შედეგად მან მარცხენა თვალი დაკარგა და ყელი დაუზიანდა.

დათვთან შეხვედრის შემდეგ როჯერსი საავადმყოფოში აღმოჩნდა. ექიმები ფიქრობენ, რომ ის სახლში დაბრუნებას ორ კვირაში შეძლებს. მიუხედავად მიღებული ტრავმებისა, ის სულიერად არ დაცემულა და აცხადებს, ეს შემთხვევა მას ვერ გატეხს და რომ ტირილს სიცილი ურჩევნია.

ზვიგენის ზურგზე გასეირნება მყვინთავს პატიმრობად დაუჯდა

ინდონეზიაში დააპატიმრეს მყვინთავი, რომელმაც ზვიგენის ზურგზე გაისეირნა და ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო.

ვიდეორგოლი ჩენდრავასიხის ნაკრძალ ყურეშია გადაღებული. მასზე ჩანს, რომ მყვინთავი ვეშაპისებური ზვიგენის ზურგზეა გაწოლილი და ოპერატორს ანიშნებს, რომ ყველაფერი წესრიგშია. კიდევ ორი მყვინთავი ზღვის ცხოველის გვერდით იყვნენ განლაგებულნი და მას ხელით ეხებოდნენ. აღნიშნული ვიდეო სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელდა და ბუნების დამცველთა განრისხება გამოიწვია. ამ ინციდენტის გამო მათ ხელისუფლებას მიმართეს.

ზღვის საქმეთა მინისტრმა სუსი პუჯიასტუტიმ განაცხადა, რომ კანონის დამრღვევი იპოვეს და დააპატიმრეს, ის ადგილობრივი ბიზნესმენი აღმოჩნდა.

მყვინთავის ქმედებას „სულელური და სამარცხვინო“ უწოდა ეკოლოგ-აქტივისტმა რახმად საღეხმა. მან ვარაუდი გამოთქვა, რომ ბიზნესმენს მომავალში ნაკრძალის მონახულების შესაძლებლობა და მყვინთავის ლიცენზია ჩამოერთმევა.

ინდონეზიაში ვეშაპისებრი ზვიგენები სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფებიან. მყვინთავებს მათთან ერთ მეტრზე ახლოს მიახლოვება და შეხება ეკრძალებათ, ვინაიდან მათი დაშავება ძალიან ადვილია. ისინი მხოლოდ პლანქტონებით, წვრილი თევზებითა და მედუზებით იკვებებიან და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ჰინცი: „აშშ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე, საქართველომ საკუთარი ძალა უნდა გამოაჩინოს“

მუდამო ცვლილება იყოს. რუსეთს და თურქეთს არაერთი შეუთავსებელი უთანხმოება აქვთ – მათ შორისაა, მთიანი ყარაბაღიც, სადაც რუსეთი სომხეთს უმაგრებს მხარს, თურქეთი კი აზერბაიჯანს.

– შეუძლია თუ არა საქართველოს კონსტრუქციული როლის თამაში ამ დაპირისპირების გადასაჭრელად ამერიკასა და თურქეთს შორის? ან არის თუ არა ეს პოლიტიკურად ხელსაყრელი დრო თბილისისთვის – ამ დაპირისპირების ფონის გათვალისწინებით – რომ საკუთარი მნიშვნელობა უკეთ დაანახოს დასავლეთს, სტრატეგიული მდებარეობის თუ სხვა ფაქტორების გამო?

– ეს ძალიან საინტერესო თემაა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი თითქოს რუსეთისკენ შეტრიალდა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მათ შორის დიდი გამოწვევებია. ვფიქრობ, ახლა ძალიან ხელსაყრელი დროა არა მხოლოდ საქართველოს ისტორიიდან და ამერიკასთან ახლო პარტნიორობიდან გამომდინარე, არამედ ცოტა ხნის წინ დაწყებული ტენდენციიდან გამომდინარეც, რომ პატარა ქვეყნების პოზიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეხედეთ ყატარს, რომელიც თურქეთის ეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს.

ვფიქრობ, ეს იდეალური დროა იმისთვის, რომ საქართველომ საკუთარი თავი უფრო რელევანტური გახადოს და ყველას დაანახოს, რომ საქართველოს ხმას ძალა აქვს და რომ მას ყურადღება უნდა მიაქციონ.

კულტურა

დავით საყვარელიძის სპექტაკლს კარლსრუეში ითამაშებენ

დავით საყვარელიძის სპექტაკლს „იესოს საქმე“ კარლსრუეში ითამაშებენ. სპექტაკლი რეჟისორმა სოხუმის თეატრში დადგა.

დავით საყვარელიძემ არჩევანი ლაშა იმედაშვილის ნოველაზე შეაჩერა და თავისი სათქმელიც თქვა:

– ჩემი დადგმული სპექტაკლი „იესოს საქმე“ 14 ოქტომბერსაა კარლსრუეში.

ფარისევლების დანდობა არ იქნება, გავანადგურებ, გპირდებით!

ოსკარზე საქართველოს კანდიდატ ფილმს სპეციალური კომისია გამოავლენს

ეროვნულმა კინოცენტრმა ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის გამოსავლენად სპეციალური კომისია შექმნა და 9 წევრისგან დააკომპლექტა.

კომისიის შემადგენლობაში არიან კინორეჟისორი დიმიტრი მამულია, სცენარისტი გივი-ბესიკ ოდიშარია, ოპერატორი ლომერ ახვლედიანი, მსახიობი ია შუღლიაშვილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი კახა კანდელაკი, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი, სცენარისტი კოტე ჯანდიერი, კინომცოდნე ნინო მხეიძე და კინორეჟისორი ლევან კიტია.

ამერიკის კინოაკადემიამ ეროვნულ კინოცენტრს რამდენიმე კვირის წინ მიმართა თხოვნით, შეერჩია 2018 წლის კანდიდატი ფილმი საქართველოდან ოსკარის ნომინაციისთვის „საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი“.

ამერიკის კინოაკადემიისა და ეროვნული კინოცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სულ 6 განაცხადი შევიდა, ამიტომაც ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 6 ქართული ფილმი იბრძოლებს: „ხიბულა“, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, „ნამე“, რეჟისორი ზაზა ხალვაში, „ჰორიზონტი“, რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი, „დედე“, რეჟისორი მარიამ ხაჭვანი, „ექვთიმე ღვთისკაცი“, რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე, „ჰამლეტი“, რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი.

კომისიის წევრები შერჩეულ ფილმებს დახურული ჩვენებების პრინციპით 30 და 31 აგვისტოს ნახავენ. 31 აგვისტოს ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამარჯვებული ფილმი გამოვლინდება, რომელიც წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი გახდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5703

ევრო — 2.9620

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2987

100 რუსული რუბლი — 3.8165

ამინდის პროგნოზი 23 აგვისტოსთვის

ჩემპიონთა ლიგაში შესაძლოა ვიდეო გამეორების სისტემა დაინერგოს

ჩემპიონთა ლიგაში შესაძლოა ვიდეო გამეორების სისტემა დაინერგოს, რომელსაც უკვე თითქმის ყველა ტურნირში იყენებენ ევროპაში.

სავარაუდოდ, ეს სისტემა მეოთხედფინალიდან იქნება გამოყენებული, თუმცა უეფას ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ამ სისტემას ხშირად იყენებდნენ და ბევრი საკამათო ეპიზოდი სწორედ ვიდეო გამეორების შედეგად გადაწყდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თაკო ნაცვლიშვილი მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფის ობიექტივში მოხვდა



მოდის მოყვარულებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი დონატელა ვერსაჩეს რჩეულია. გოგონა პარიზისა და მილანის მოდის კვირეულებს ხშირად სტუმრობს და ვიქტორია სეკრეტის ჩვენებისთვის შესარჩევ კონკურსშიც მონაწილეობდა.

ამჟამად თაკო ევროპაში იმყოფება, სადაც ფოტოსესიებში იღებს მონაწილეობას. თაკო დეივიდ ბელემერის ობიექტივში მოხვდა. იგი მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფია და მოდის სამყაროში განსაკუთრებით კარგად იცნობენ.

თაკოს გარეგნობით მსოფლიოში ცნობილი არაერთი დიზაინერი დაინტერესდა და როგორც უცხოელი მოდის კრიტიკოსები აღნიშნავენ, ქართველ ლამაზმანს დიდი მომავალი ელოდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ამერიკელმა ცოლს ლატარიაში მოგება დაუმალა

ამერიკის მისურის შტატის მცხოვრები რამდენიმე დღის მანძილზე არ უმხელდა მეუღლეს, რომ ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

რობერტ ბეკმა ჯეკპოტი 352 ათასი დოლარი მიიღო. როდესაც მოგების შესახებ შეიტყო, ამის შესახებ ცოლს არაფერი უთხრა.

– მე ვიცდიდი, რომ მისთვის სიურპრიზი გამეკეთებინა, – განმარტა მამაკაცმა.

მოგებიდან მეოთხე დღეს ის მეუღლეს ვარდების თაიგულით და დიდი პლაკატით გამოეცხადა, რომელიც მოგების შესახებ იტყობინებოდა.

– მე ძალიან ემოციურად ვრეაგირებ, როდესაც რაიმე მოულოდნელობა ხდება. მე მათ რიცხვს განვეკუთვნები, რომლებიც ასეთ დროს ცრემლად შეიძლება დაიღვარონ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სიხარულის ცრემლები იყო, – განაცხადა ქალმა.

ბეკის თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილის თავისი ქალიშვილისთვის მიცემას აპირებს. გარდა ამისა, ის ფიქრობს, რომ თანხის ნაწილი, ასევე სენტ-ჯუდის ბავშვთა კვლევით საავადმყოფოს შეწიროს, რომელიც ბავშვთა კიბოსგან განკურნებაზე მუშაობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მან იფიქრა, რომ ვუპასუხო არა, მამაკაცად არ ჩამთვლიან და უპასუხა:

– დიახ, მაინტერესებს.

– თავისუფალი ხართ.

მესამე პრეტენდენტს ეკითხებიან:

– ინტერნეტში პორნოსაიტებით ინტერესდებით?

– რა არის ინტერნეტი?

– მიღებული ხართ!

●●●

სამხედრო ნაწილის სასადილოში, პოლკოვნიკი შემოწმებაზე იმყოფება და კითხულობს:

– ვინ არის უფროსი მზარეული?

– მე, ბატონო პოლკოვნიკო.

– წვნიანში დაფნის ფოთოლს რატომ არ დებთ?

– არ ჭამენ, ბატონო პოლკოვნიკო.

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, გადავწყვიტეთ, აგარაკი ვიყიდოთ და ფული რომ შევაგროვოთ, მამაშენი სმას თავს დაანებებს, მე მოწევას და შენ რას გააკეთებ?

– შემიძლია სწავლას დავანებო თავი!

●●●

ექსკურსიამძღოლი სამხატვრო გალერეაში დამთვალიერებლებს ეკითხება:

– თქვენი აზრით, ამ სურათზე მხატვარმა რა დახატა: მზის ამოსვლა თუ ჩასვლა?

– დარწმუნებული ვარ, რომ მზის ჩასვლაა, – უპასუხა ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა.

– რატომ ფიქრობთ მასე?

– იმიტომ, რომ მაგ მხატვარს კარგად ვიცნობ და შუადღემდე არასოდეს იღვიძებს.

●●●

მამამ შვილები ბაღში წაიყვანა სამუშაოდ და ეკითხება:

– რომელმა იცით მათემატიკა კარგად?

– მე.

– ჰოდა, ხელი მოკიდე მაგ ნიჩაბს და მიდი, ფესვი ამოიღე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



გურამ კაშია უეფამ დააჯილდოვა

გურამ კაშიამ უეფას მიერ ახალდაწესებული ექუალ გეიმის ჯილდო მოიგო.

ეს ჯილდო იმ ფეხბურთელებს გადაეცემათ, რომლებიც ხელს უწყობენ ფეხბურთის ხელმისაწვდომობისა და თანასწორუფლებიანობის პოპულარიზაციას ევროპაში.

კაშიამ 2017 წლის ოქტომბერში მხარზე ცისარტყელის ფერის სამკლაური გაიკეთა, რითიც დაგმო ლგბტ პირებზე განხორციელებული ძალადობა. სავარაუდოდ ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც უეფამ კაშია დააჯილდოვა.

ქართველი ფეხბურთელი თავის ჯილდოს 30 აგვისტოს მიიღებს.

ჯეიმი კარაგერი: „მოურინიო გასაგდებია“

ლივერპულის ყოფილმა ფეხბურთელმა და საფეხბურთო ექსპერტმა ჯეიმი კარაგერმა მანჩესტერ იუნაიტედზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდის მთავარი პრობლემა ჟოზე მოურინიოა.

კარაგერის აზრით, მანჩესტერმა მოურინიო უნდა გაუშვას.

– უკვე მეორე წელია, მანჩესტერ იუნაიტედი არ არის დამაჯერებელი და შარშან მას უბრალოდ გაუმართლა. თუ მანჩესტერს მდგომარეობის შეცვლა სურს, მაშინ ჟოზე უნდა გააგდოს. ის თავის მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებს, – განაცხადა ჯეიმი კარაგერმა.

კლაუდიო ბრავოს ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა

მანჩესტერ სიტის მეკარე კლაუდიო ბრავო სავარაუდოდ 9 თვე ვერ შეძლებს თამაშს. ამის მიზეზი კი აქილევსის მყესის ტრავმაა, რომელიც ბრავომ ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო. კლაუდიოს გამოკვლევები ჩაუტარდა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ მას დიდი ხნის მანძილზე მოუწევს უქმობა.

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მისი გუნდი კიდევ ერთი მეკარის ყიდვას აპირებს, რადგან ამჟამად მანჩესტერ სიტიში მხოლოდ ორი გოლკიპერია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში; 2. ქალის ერთგვარი საყურე; 4. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 5. ფოლადის ბაგირი გემზე; 6. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 7. მწვავე ირონია, ღვარძლი, დაცინვა; 10. შემაერთებელი ქსოვილის მკვრივი, დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 12. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 13. სახელმწიფო ევროპაში; 16. ქართველი მგოსანი; 17. კუთხე საქართველოში; 18. კომბინაცია პრეფერანსში; 19. დაბალი ხარისხის შაქარი; 21. სუბტროპიკული ხილი.

თარაზულად: 3. ქალის ძველებური ხელჩანთა; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. გერმანული ავიაკომპანია; 11. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ხოხბისებრთა ოჯახის პატარა ფრინველი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 15. ვრცელი მოდამოს ხედი; 20. ვაშლის ქართული ჯიში; 22. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 23. წმინდანის მხატვრული გამოსახულება; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 25. ვულკანი სიცილიაზე; 26. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 27. გემების სადგომი ნავსადგურში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა